პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 216 (10913) | ხუთშაბათი, 12 სექტემბერი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მხარეებისათვის, ოლქებისათვის, რაიონებისათვის, აგრეთვე ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტებისათვის, საწარმოებისათვის, კოლმეურნეობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელების მიკუთვნების საქმის მოწესრიგების შესახებ (1-ლი გვერდი).

ოქტომბრის გზაზე. — ა. ესაკია. — კორნილოვის შეთქმულების განადგურება (მე-2 გვერდი).

დ. ამირანიძე. — წარმოების მუშებისა და მშენებლების თანამეგობრობის ნაყოფი (მე-2 გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — ა. შადური. — მეცხვარეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის (მე-2 გვერდი).

პრესის მიმოხილვა — [illegible] ცხოვრება (მე-3 გვერდი).

პ. რატიანი. — [illegible] (მე-3 და მე-4 გვერდი).

ა. ბეჟიძე. — დადგა საკვების დასილოსების გადამწყვეტი პერიოდი (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მეტი ყურადღება და დახმარება ჩამორჩენილ საწარმოებს

სამ თვეზე მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ მიიღო მთელი ხალხის მიერ მოწონებული კანონი მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ, დაწყებულ იქნა საქართველოს ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭოს ჩამოყალიბება.

ამ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელებამ, მეურნეობის ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის სწორად შეხამებამ რესპუბლიკური და ადგილობრივი ინიციატივის გაშლასთან, მათი უფლებებისა და პასუხისმგებლობის გადიდებასთან, უკვე მოგვცა ხელშესახები ნაყოფი. გადაჭრით გააუმჯობესეს მუშაობა მრეწველობისა და ტრანსპორტის მთელმა რიგმა ისეთმა საწარმოებმა, რომლებიც წინა წლების განმავლობაში ვერ ასრულებდნენ საწარმოო დავალებებს, ჩამორჩებოდნენ.

მაგალითად, ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა, რომელიც წინათ ჩამორჩენილი იყო, უკანასკნელ თვეებში დიდად გააუმჯობესა მუშაობა, 104,6 პროცენტით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების 8 თვის გეგმა, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 13 პროცენტით აამაღლა შრომის ნაყოფიერება და 25 მილიონი მანეთით მეტი პროდუქცია მოგვცა. ასევე წარმატებით მუშაობენ და სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ სახელმწიფო დავალებებს თბილისელი ორთქლმავალშემკეთებლები და კერამიკოსები, ტყვარჩელელი და ახალციხელი მეშახტეები, რომლებიც წინათ ასე გამართულად ვერ მუშაობდნენ.

ყოველივე ეს იმის პირდაპირი შედეგია, რომ აღარ არსებობენ უწყებრივი ზღუდეები, არსებული რეზერვების გამოყენება უფრო მიზანშეწონილად ხდება, უზრუნველყოფილია სამეურნეო-ორგანიზაციული და სხვადასხვა ტექნიკური საკითხების სწრაფად გადაჭრა, გაუმჯობესდა და უფრო მოქნილი გახდა საწარმოებისადმი ხელმძღვანელობა. როგორც ცნობილია, საქართველოს მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების რვა თვის გეგმა 104 პროცენტით შეასრულა, ხოლო საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსადმი დაქვემდებარებულმა მრეწველობამ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წელს რვა თვეში 5,6 პროცენტით მეტი პროდუქცია მოგვცა, რაც 375 მილიონ მანეთს შეადგენს.

ეს მონაცემები სრული სიცხადით გვიჩვენებენ კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით განხორციელებული ბრძნული ღონისძიების — მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის შესანიშნავ ნაყოფს. ამ ღონისძიების მიზანშეწონილობისა და საჭიროების უარყოფა შეეძლოთ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც მოსწყდნენ ცოცხალ სინამდვილეს, ხალხს და მათთვის გაუგებარი გახდა საბჭოთა ადამიანების მისწრაფება მომწიფებული ამოცანების გადასაწყვეტად. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა გამოამჟღავნა ეს რწმენადაკარგული ადამიანები, ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილენი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო მტკიცედ ახორციელებს მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების პოლიტიკას, თანმიმდევრულად იბრძვის მრეწველობის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად და კარგ შედეგებსაც აღწევს.

მაგრამ ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ მრეწველობის მთელ რიგ მნიშვნელოვან დარგებში სახალხო მეურნეობის საბჭოსა და მისი დარგობრივი სამმართველოების მიერ დასახული ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებები არ ხორციელდება ჯეროვანი ტემპით და მიძალებით, ზოგი საწარმოს სამეურნეო ხელმძღვანელებმა და მათთან ერთად ადგილობრივმა პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ვერ გარდაქმნეს მუშაობა ახალი ამოცანების შესაბამისად, ვერ შეძლეს თავიანთი კოლექტივების შემოქმედებითი ენერგიის ახალ ვითარებასთან შეფარდებით გამოყენება, და ამის გამო ჩამორჩენა კვლავ გრძელდება.

ასეთ საწარმოებს მეტი დახმარება უნდა აღმოუჩინონ როგორც სახალხო მეურნეობის საბჭომ და მისმა ორგანოებმა, ისე ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ თბილისის მაუდკამვოლის კომბინატი, ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა, ენგურის ქაღალდ-ცელულოზის კომბინატი.

ჩვენი სატყეო მრეწველობა ბოლო ხანებში უკეთესად მუშაობს, ვიდრე წინათ მუშაობდა, მაგრამ ამით დაკმაყოფილების საბაბი სატყეო მრეწველობის მუშაკებს არა აქვთ. მილიონობით კუბმეტრი ხე-ტყე სჭირდება რესპუბლიკას ყოველწლიურად. ეს ტყე ჩვენ გვაქვს. საქართველოს ტყეებში, როგორც უკანასკნელი შემოწმებიდან ჩანს, ისეთი რაოდენობით მოიპოვება მოუჭრელი და გადაბერების ასაკში გადასული ტყე, რამდენიც რესპუბლიკაში გაჩაღებულ მშენებლობას მრავალი წლის განმავლობაში უზრუნველყოფს სამშენებლო ხე-ტყით. მაგრამ ჩვენი ტყეების ამ რეზერვს ვერ ვიყენებთ უგზოობისა და მთელი რიგი სხვა მიზეზების გამო. ტყეების ექსპლოატაციის რაციონალური წესებით მოწყობაში, სატყეო მეურნეობის განვითარებაში ჯერ ჩვენს რესპუბლიკაში არ არის მიღწეული დამაკმაყოფილებელი დონე.

იგივე უნდა ითქვას მანქანათმშენებლობის, აგრეთვე მსუბუქი და კვების მრეწველობის მთელი რიგი საწარმოების შესახებ, განსაკუთრებით ისეთი მაჩვენებლების ამაღლების საჭიროებაზე, როგორიც არის ხარისხობრივი და სასორტიმენტო მაჩვენებლები.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ მრეწველობის ამ ჩამორჩენილ, გაუმართავად მომუშავე უბნებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს, მათი მუშაობის გასაჯანსაღებლად ღონისძიებების დასახვა და მათი განხორციელება თავისი მსჯელობისა და განუწყვეტელი მეთვალყურეობის საგნად გახადოს.

ამ ამოცანის მიღწევა სავსებით შესაძლებელი იქნება, თუ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან ერთად მუშაობის გასაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებას მტკიცედ მოჰკიდებენ ხელს ადგილობრივი სამეურნეო ხელმძღვანელები, საბჭოთა, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები.

საჭიროა მაქსიმალური ნაყოფიერებით გამოვიყენოთ დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის ზეიმამდე დარჩენილი დრო, განსაკუთრებული ყურადღებით მოვეპყროთ და მეტი დახმარება გავუწიოთ მრეწველობისა და ტრანსპორტის ჩამორჩენილ საწარმოთა კოლექტივებს, რათა საყოველთაო-სახალხო ზეიმის დღეს — 7 ნოემბერს ისინიც პირნათლად წარსდგნენ სამშობლოს წინაშე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების საფუძველზე მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1957 წლის 11 სექტემბრის ბრძანებულებით გააუქმა საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სამინისტრო და შექმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისია.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. მ. ა. მეგრელიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. მამია ამბერკის-ძე მეგრელიშვილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ლ. დავითაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1957 წლის 11 სექტემბერი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მხარეებისათვის, ოლქებისათვის, რაიონებისათვის, აგრეთვე ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტებისათვის, საწარმოებისათვის, კოლმეურნეობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელების მიკუთვნების საქმის მოწესრიგების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ცენტრებისათვის, საწარმოებისათვის, კოლმეურნეობებისათვის, დაწესებულებებისათვის, სასწავლებლებისათვის საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელების მიკუთვნების საქმეში დაშვებული იყო დიდი ნაკლოვანებანი და გადახვევები ლენინური ტრადიციებიდან.

დიდი ლენინი საბჭოთა ადამიანებს ასწავლიდა ყოფილიყვნენ მოკრძალებულნი და თვითონ იყო მოკრძალებულობისა და უბრალოების ნიმუში, მისი სახელის განდიდების შეურიგებელი მოწინააღმდეგე. „თქვენ ვერ წარმოიდგენთ, — ამბობდა იგი, — რამდენად უსიამოვნოა ჩემთვის ჩემი პიროვნების მუდმივი წინ წამოწევა". ვ. ი. ლენინის სიცოცხლეში მისი სახელი მიკუთვნებული არ ჰქონია არცერთ ოლქს, არცერთ რაიონსა თუ ქალაქს.

ლენინის სახელი პირველად მიეკუთვნა ქალაქებს ლენინგრადსა და ულიანოვსკს მისი გარდაცვალების შემდეგ, 1924 წელს, თავისი ბელადისა და მასწავლებლისადმი საბჭოთა ხალხის უდიდესი სიყვარულის ნიშნად და მისი ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით.

შემდგომ წლებში მშრომელთა თხოვნით განსაკუთრებულ შემთხვევებში ზოგიერთ ქალაქს, რაიონს, დაბას, საწარმოს, კოლმეურნეობას, დაწესებულებას სიკვდილის შემდეგ მიეკუთვნა ცალკეულ თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო-პოლიტიკურ მოღვაწეთა სახელები, რაც იყო ხალხის მიერ მათი თვალსაჩინო დამსახურების აღიარებისა და კომუნისტური პარტიისადმი მშრომელთა ნდობის გამოხატულების ერთ-ერთი ფორმა.

მაგრამ პიროვნების კულტის გავრცელების პერიოდში სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელებს ჯერ კიდევ მათს სიცოცხლეში აკუთვნებდნენ მრავალ რაიონს, ქალაქებს, დაბებს, საწარმოებს, კოლმეურნეობებს, სასწავლებლებს. ასეთი პრაქტიკა იწვევს ცალკეულ პიროვნებათა არაკანონზომიერ განდიდებას, აკნინებს პარტიის, როგორც მასების კოლექტიური ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის, როლს, ხელს არ უწყობს კადრების სწორ აღზრდას პარტიული მოკრძალებულობის სულისკვეთებით.

არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მხარეებისათვის, ოლქებისათვის, რაიონებისათვის, აგრეთვე ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტებისათვის, საწარმოებისათვის, კოლმეურნეობებისათვის, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელების მიკუთვნების საქმეში სათანადო წესრიგის დამყარების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. საჭიროდ იქნას მიჩნეული შეწყდეს შემდეგში მხარეებისათვის, ოლქებისათვის, რაიონებისათვის, აგრეთვე ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტებისათვის, საწარმოებისათვის, რკინიგზის სადგურებისათვის, კოლმეურნეობებისათვის, დაწესებულებებისათვის, სასწავლებლებისა და ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო, საზოგადო-პოლიტიკურ მოღვაწეთა, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა სახელების მიკუთვნება მათს სიცოცხლეში.

2. დაწესდეს, რომ ამიერიდან სახელების მიკუთვნება ამ ბრძანებულების პირველი მუხლის შესაბამისად შეიძლება წარმოებდეს მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ განსაკუთრებით თვალსაჩინო სახელმწიფო, საზოგადო-პოლიტიკურ მოღვაწეთა, სამშობლოს დამცველთა, შრომის გმირთა, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში მშრომელების, აგრეთვე საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შუამდგომლობით შემდეგი წესით:

ა) მხარეებისათვის, ოლქებისათვის, რაიონებისათვის, აგრეთვე ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტებისათვის სახელების მიკუთვნებას აწარმოებენ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები;

ბ) საერთო-საკავშირო დაქვემდებარების სახელმწიფო საწარმოებისათვის, რკინიგზის სადგურებისათვის, დაწესებულებებისა და სხვა ობიექტებისა და ორგანიზაციებისათვის სახელების მიკუთვნებას აწარმოებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო;

გ) საკავშირო-რესპუბლიკური, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სახელმწიფო საწარმოებისათვის, დაწესებულებებისა და სხვა ობიექტებისა და ორგანიზაციებისათვის სახელების მიკუთვნებას აწარმოებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები;

დ) კოლმეურნეობებისათვის, საწარმოებისა და სარეწაო კოოპერაციის არტელებისა და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციებისათვის ამ ორგანიზაციების საერთო კრებების წევრთა შუამდგომლობით სახელების მიკუთვნებას აწარმოებენ მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი სამხარეო, საოლქო საბჭოების აღმასკომები, ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ხოლო იმ რესპუბლიკებში, რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

3. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული იმ ოლქების, რაიონების, ქალაქების, დაბების, სოფლების, საწარმოების, კოლმეურნეობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სახელების გადარქმევა, რომლებსაც მიეკუთვნათ ამჟამად ცოცხალ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელები. სახელების აღნიშნული გადარქმევა წარმოებდეს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ამ ბრძანებულების მეორე მუხლის შესაბამისად.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს წინათ ამ საკითხებზე მიღებული საკანონმდებლო აქტები, თანახმად დანართისა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1957 წ. 11 სექტემბერი.

დანართი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წ. 11 სექტემბრის ბრძანებულებისა

ნ უ ს ხ ა

იმ საკანონმდებლო აქტებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს

სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1923 წლის 28 დეკემბრის დადგენილება „იმ დასახლებული პუნქტების სახელების გადარქმევის აკრძალვის შესახებ, რომლებსაც აქვთ ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებანი" (სსრ კავშირის ცაკის, სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მოამბე, 1923 წელი, № 12, მუხლი 328).

სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1924 წლის 5 თებერვლის დადგენილება „სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წინასწარ ნებადაურთველად ვ. ი. ულიანოვ-ლენინის სახელის გადარქმევის აკრძალვის შესახებ" (სსრ კავშირის ცაკის, სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მოამბე, 1924 წ, № 2, მუხლი 31).

სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1930 წლის 6 მარტის დადგენილება „რკინიგზის სადგურების სახელების გეგმიანი წესით გადარქმევის შესახებ" (სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1930 წლის 6 მარტის სხდომის ოქმი № 30, მუხლი 24).

მუხლი მე-4 სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1930 წლის 10 დეკემბრის დადგენილებისა „მოსკოვის ოლქის ერთი და იმავე სახელწოდების დასახლებული პუნქტების სახელის გადარქმევის შესახებ" (სსრ კავშირის კანონთა კრებული, 1931 წ., № 1, მუხლი 7).

სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1931 წლის 3 ნოემბრის დადგენილება „ქალაქებისათვის, რკინიგზის სადგურებისათვის, რაიონებისათვის, სოფლებისათვის, საწარმოებისათვის და სხვ. ცალკეულ მუშაკთა სახელების მიკუთვნების წესის შესახებ" (სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1931 წლის 3 ნოემბრის სხდომის ოქმი № 21, მუხლი 11).

სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1932 წლის 27 აპრილის დადგენილება „ქალაქებისათვის, რკინიგზის სადგურებისათვის, რაიონებისათვის, სოფლებისათვის, საწარმოებისათვის და სხვ. ცალკეულ მუშაკთა სახელების მიკუთვნების წესის შესახებ" (სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1932 წლის 27 აპრილის სხდომის ოქმი № 36, მუხლი 17).

სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1932 წლის 17 ივნისის დადგენილება „უზბეკეთის სსრ ცაკის შუამდგომლობა სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის მიმდინარე წლის 27 აპრილის დადგენილების გადასინჯვის შესახებ რესპუბლიკური მნიშვნელობის საწარმოებისათვის, სასწავლებლებისათვის, საავადმყოფოებისათვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის, ცალკეულ მუშაკთა სახელების მიკუთვნების ნაწილში" (სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1932 წლის 17 ივნისის სხდომის ოქმი № 40, მუხლი 5).

სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1935 წლის 28 მაისის დადგენილება „პროექტი ცირკულარული წერილისა მოკავშირე რესპუბლიკების ცაკებისადმი სსრ კავშირის დასახლებული ადგილების სახელების გადარქმევის შესახებ შუამდგომლობათა განხილვის, აგრეთვე დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის ცალკეულ მუშაკთა სახელების მიკუთვნების წესის შესახებ" (სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1935 წლის 28 მაისის სხდომის ოქმი № 9, მუხლი 33).

სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1936 წლის 27 მაისის დადგენილება „ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და დაბებისა და რკინიგზის სადგურებისათვის სახელების გადარქმევის შეწყვეტის შესახებ" (სსრ კავშირის კანონთა კრებული, 1936 წ., № 31, მუხლი 275).

მუხლი მე-2 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 13 მაისის დადგენილებისა „სამხედრო-საპარაშუტო სასწავლებლისათვის ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს სახელის მიკუთვნების თაობაზე" ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების შესახებ" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 13 მაისის სხდომის ოქმი № 12, მუხლი 68).

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1957 წ. 9 სექტემბერი № 180 ქალაქი მოსკოვი.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან იმ სამხედრო მოსამსახურეთა დათხოვნის შესახებ, რომლებმაც გაათავეს სამსახურის დაწესებული ვადები, და ნამდვილ სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევის შესახებ

საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. დათხოვნილ იქნან საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, საზღვრო და შინაგანი ჯარების რიგებიდან თადარიგში ჯარისკაცები, მატროსები, სერჟანტები და ზემდეგები, რომლებმაც გაათავეს კანონით დაწესებული ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვადები.

2. იმ სამხედრო მოსამსახურეთა დათხოვნასთან დაკავშირებით, რომლებიც აღნიშნული არიან ამ ბრძანების 1 პუნქტში, გაწვეულ იქნან საბჭოთა არმიაში, სამხედრო-საზღვაო ფლოტში, სასაზღვრო და შინაგან ჯარებში ნამდვილი სამხედრო სამსახურისათვის 1938 წელს დაბადებული მოქალაქენი, რომლებსაც არა აქვთ გაწვევის შეღავათი და გადავადების უფლება, აგრეთვე გასაწვევი ასაკების ის მოქალაქენი, რომლებსაც გაუთავდათ გაწვევის გადავადება და რომელთა ტოლები ნამდვილ სამხედრო სამსახურს ასრულებენ.

3. ბრძანება გამოცხადდეს ყველა ასეულში, ბატარეაში, ესკადრილიაში და ხომალდზე.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. ჟუკოვი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მოსკოვის ელექტრონათურების ლენინის ორდენოსანი ქარხნის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქარხნის ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით და ელექტრონული ტექნიკის განვითარებისა და ელექტროვაკუუმური ხელსაწყოების გამოშვების საქმეში მისი დამსახურების აღსანიშნავად **მოსკოვის ელექტრონათურების ლენინის ორდენოსანი ქარხანა დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1957 წ. 10 სექტემბერი.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საორგანიზაციო ბიუროში

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საორგანიზაციო ბიურომ თავის მორიგ სხდომაზე დაამტკიცა კავშირის ასტრახანის, სმოლენსკის, ჩიტის ოლქების და უდმურტეთის ასს რესპუბლიკის განყოფილებათა საორგანიზაციო ბიუროების გადაწყვეტილებანი ამ ოლქების პრესის ორგანოთა მუშაკების კავშირის წევრებად მიღების შესახებ.

კავშირში მიღებულთა დიდ უმრავლესობას შეადგენენ პარტიული და კომკავშირული პრესის ორგანოთა მუშაკები, რომლებსაც პრესაში მუშაობის დიდი გამოცდილება და მაღალი ჟურნალისტური კვალიფიკაცია აქვთ.

ამავე სხდომაზე საორგანიზაციო ბიურომ განიხილა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საგამომცემლო საქმიანობის საკითხი. (საქტასი).

კორნილოვის შეთქმულების განადგურება

1917 წლის ივლისის ამბების შემდეგ მკვეთრად შეიცვალა ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება, დამთავრდა ორხელისუფლებიანობა, მთელი ძალაუფლება კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ხელში გადავიდა, ხოლო საბჭოები მათი მენშევიკურ-ესერული ხელმძღვანელობით გადაიქცნენ დროებითი მთავრობის დანამატად. ძალაუფლების განმტკიცების მიზნით ბურჟუაზიულმა კონტრრევოლუციამ მუშათა კლასისა და მისი პარტიის მიმართ გაუგონარ რეპრესიებს მიმართა.

შექმნილი ვითარების გამო პარტიის გადაუდებელ ამოცანად რჩებოდა შეუპოვარი თანმიმდევრული ბრძოლა პოლიტიკური არმიის შექმნისათვის, ხალხის მასების გადმოყვანისათვის თავის მხარეზე, მუშათა გვარდიისა და წითელი რაზმების ჩამოყალიბება და შეიარაღება, ვინაიდან რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების პერიოდის დამთავრების შემდეგ მხოლოდ ძალის საშუალებით — შეიარაღებული აჯანყების გზით შეიძლებოდა კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის დიქტატურის დამხობა.

ამ ამოცანის განხორციელების გზაზე მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა პარტიის მებრძოლი რაზმების მიერ გენერალ კორნილოვის კონტრრევოლუციური ამბოხების განადგურება.

25 აგვისტოს გენერალმა კორნილოვმა პეტროგრადის წინააღმდეგ დასძრა მესამე ცხენოსანი კორპუსი, რომელშიც „ველური დივიზიაც" შედიოდა გენერალ კრიმოვის სარდლობით. იმავე დღეს უმაღლესი სარდლობის ბანაკიდან ნოვოჩერკასკში ატამან კალედინს გაეგზავნა დეპეშა გადაესროლა მოსკოვის გზით ფინეთში კაზაკთა ცხენოსანი დივიზია. ხოლო კავკასიის პირველ ცხენოსან კორპუსს, რომელიც ფინეთში იმყოფებოდა, ებრძანა დაძრულიყო პეტროგრადისაკენ. ფრონტიდან მთავარ ბანაკში სასწრაფოდ გაიწვიეს სამი ათასამდე ოფიცერი, დამატებით ითხოვდნენ გაეგზავნათ შეძლებისდაგვარად სამიდო კადრის ოფიცრები.

კორნილოვის შეთქმულების მზადება არ მიმდინარეობდა დროებითი მთავრობისაგან მალულად, უფრო მეტიც, მასში ჩაბმული იყო თვით კერენსკიც. კორნილოვის გალაშქრებას პეტროგრადზე თანაუგრძნობდნენ და აქტიურად ეხმარებოდნენ ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები. ინგლისის ელჩმა შეთქმულების მთელი მსვლელობა იცოდა და მხარს უჭერდა კორნილოვს.

ამერიკისა და ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტები ცდილობდნენ დახმარება გაეწიათ კონტრრევოლუციური ბურჟუაზიისათვის რუსეთში, რათა ჩაეხშოთ რუსეთის მზარდი რევოლუცია და რუსი ხალხისათვის დაედგათ კოლონიური ჩაგვრის მძიმე უღელი.

კონტრრევოლუციური ამბოხება გენერალ კორნილოვის ხელმძღვანელობით მიზნად ისახავდა ბოლშევიკური პარტიის, საბჭოების, გლეხთა და ჯარისკაცთა კომიტეტების განადგურებას, ბურჟუაზიულ-მემამულური სამხედრო-ტერორისტული დიქტატურის დამყარებას და რუსეთში მონარქიის აღდგენას. კორნილოვშჩინის სულისჩამდგმელსა და იდეურ-პოლიტიკურ ცენტრს კადეტების პარტია წარმოადგენდა, რომელსაც ლენინი „კორნილოვის მთავარ პარტიას" უწოდებდა.

დროებითმა მთავრობამ კორნილოვის კონტრრევოლუციური შეთქმულების მზადების მთელი მსვლელობა იცოდა. კერენსკი სწრაფად აკმაყოფილებდა კორნილოვის ყველა მოთხოვნას.

რევოლუციის ბედი სერიოზული საშიშროების წინაშე აღმოჩნდა, საჭირო იყო რევოლუციურ მასებს მთელი შესაძლებლობით ებრძოლათ ამ საფრთხის წინააღმდეგ. კორნილოვშჩინის დღეებში ბოლშევიკური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით პეტროგრადის რევოლუციური მასები ირაზმებოდნენ კორნილოვის წინააღმდეგ საბრძოლველად. ბოლშევიკურმა პარტიამ მოუწოდა მუშებსა და ჯარისკაცებს აქტიური შეიარაღებული წინააღმდეგობა გაეწიათ კონტრრევოლუციისათვის. არაჩვეულებრივად იზრდებოდა წითელგვარდიელთა რაზმები, მუშები გამალებით იარაღდებოდნენ, რამდენიმე ათასი შეიარაღებული კრონშტადტელი მატროსი მოვიდა პეტროგრადის დასაცავად. მუშები, ჯარისკაცები, მატროსები და რევოლუციურად განწყობილი მასები ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მზად იყვნენ მკერდით დაეცვათ პეტროგრადი.

ბოლშევიკები რაზმავდნენ მუშებს, ჯარისკაცებს, მატროსებს კონტრრევოლუციური ამბოხების გასანადგურებლად და ამასთან ერთად არ ივიწყებდნენ კერენსკის წინააღმდეგ ბრძოლასაც. ბოლშევიკები ამხილებდნენ კერენსკის მთავრობას, მენშევიკებსა და ესერებს, რომლებიც ეხმარებოდნენ კორნილოვის კონტრრევოლუციურ შეთქმულებას.

კორნილოვის აჯანყება დასაწყისშივე განადგურებულ იქნა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მომზადებული მებრძოლი რაზმების მიერ. მემამულეებმა და ბურჟუაზიამ ვერ შეძლეს რევოლუციის განადგურება; ამავე დროს სამოქალაქო ომმა, რომელიც გენერლებმა წამოიწყეს, მკვეთრად შეცვალა ძალთა თანაფარდობა პროლეტარიატის სასარგებლოდ. მუშები განთავისუფლდნენ ესერ-მენშევიკთა შემთანხმებლური პოლიტიკის ტყვეობიდან, დაადგნენ რევოლუციური ბრძოლის გზას.

კორნილოვის ამბოხების ლიკვიდაციისა და საბჭოების გამოცოცხლების შემდეგ ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს" კვლავ დადგა დღის წესრიგში.

კორნილოვშჩინის წინააღმდეგ ბრძოლის დღეებში საბჭოები და მათი რევოლუციური კომიტეტები მასების ზეგავლენით ბევრ ქალაქსა და რაიონში გადაიქცნენ სრული ძალაუფლებით მოსილი ხელისუფლების ორგანოებად, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ბოლშევიკების მითითებებით და ეყრდნობოდნენ ხალხის მასების აქტივობასა და რევოლუციურ შემოქმედებას.

რევოლუციისათვის საშიშ მომენტში საბჭოების გამოცოცხლებამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ისინი წარმოადგენენ მშრომელი მასების რევოლუციური ბრძოლისა და რევოლუციური ხელისუფლების ორგანიზაციის საუკეთესო ფორმას.

კორნილოვის შეთქმულებამ ნათლად დაანახვა ხალხის მასებს რუსეთის ყველა კლასისა და პარტიის ჭეშმარიტი ბუნება. მან უჩვენა კლასები და პარტიები არა მათი პროგრამებითა და დეკლარაციებით, არამედ მათი პრაქტიკული საქმიანობის მიხედვით.

კორნილოვშჩინის განადგურება მოასწავებდა ახალი მძლავრი რევოლუციური მოძრაობის დაწყებას. მასები აძლიერებდნენ ბრძოლას და ირაზმებოდნენ ბოლშევიკების გარშემო. რევოლუციური მასების გადმოსვლა ბოლშევიკების მხარეზე ყველაზე უფრო მკაფიოდ გამომჟღავნდა საბჭოების ბოლშევიზაციის ფაქტით.

კომუნისტურმა პარტიამ რევოლუციის მტრების წინააღმდეგ გაფთრებულ ბრძოლაში შექმნა თავისი პოლიტიკური არმია, დარაზმა ჩვენი ქვეყნის ჩაგრული და ექსპლოატირებული მასები იმპერიალისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად, რაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით დაგვირგვინდა.

ა. ესაკია,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

დრამატული თეატრების დათვალიერება

დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს დრამატულ თეატრებში ფართოდ გაიშალა მუშაობა. მზადდება ამ დიდი თარიღისათვის მიძღვნილი სპექტაკლები.

15 სექტემბრიდან 25 ოქტომბრამდე რესპუბლიკაში ეწყობა თეატრების დათვალიერება, რომელშიც უკვე ჩაებნენ საქართველოს დრამატული თეატრები. რუსთაველის სახელობის თეატრი დათვალიერებაზე წარმოდგენილი იქნება სამი სპექტაკლით — მ. მრევლიშვილის „ზვავი", გ. ქელბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელი" (ახალი დადგმა) და ნუშიჩის „ფილოსოფიის დოქტორი"; მარჯანიშვილის სახელობის თეატრი მაყურებელს უჩვენებს კორნეიჩუკის „ესკადრის დაღუპვას", რ. თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანს" (ახალი დადგმა) და კასონას „ხეები ზეზეულად კვდებიან"; გორის გ. ერისთავის სახელობის თეატრი წარმოადგენს კაპლერის პიესას „მრისხანე წელი", რომელიც ასახავს 1918 წლის ამბებს, გარდა ამისა, თეატრი დათვალიერების დროს უჩვენებს მ. ჯავახიშვილის პიესას „არსენა მარაბდელი", ზუგდიდის თეატრი მაყურებელს უჩვენებს ც. სოლოდარის „ერთი დღე აგარაკზე" და მოლიერის „ძალად ექიმი".

ბათუმის თეატრი წარმოადგენს გ. ბერძენიშვილის „დაჭრილ არწივს", ლევიტინას „განაჩენს" და პ. ლორიას „დინარას"; ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის თეატრს დათვალიერებაზე გამოაქვს ლავრენევის „რღვევა", გ. ივანიშვილის „ვიღაცამ დარეკა"; თელავის თეატრს — ა. წერეთლის „ბაში-აჩუკი" და ლ. ქუბაბრიას „ამხანაგები"; მახარაძის თეატრს — ვ. დარასელის „კიკვიძე" და პ. ლორიას „მევლუდი".

დათვალიერება ტარდება ორ ტურად. წარმოდგენილ სპექტაკლებს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ შედგენილი კომისია ამხ. ვ. კუპრავას თავმჯდომარეობით გასინჯავს ადგილებზე. კომისია შეარჩევს საუკეთესო სპექტაკლებს, რომლებსაც შემდეგ უჩვენებენ თბილისში. მათგან საუკეთესონი ნაჩვენები იქნება მეორე ტურში, რომელიც შედგება მოსკოვში.

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ დათვალიერებაში ჩაბმული თეატრებისათვის გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო დადგმასა და საუკეთესო შესრულებაზე, გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრემიები. მსახიობებისათვის დაწესებულია ხუთი პირველი პრემია, თვითეული ორი ათასი მანეთის რაოდენობით და შვიდი მეორე პრემია (თითო 1.500 მან. რაოდენობით). რეჟისორებისათვის — ერთი პირველი პრემია (4.000 მან.) და ერთი მეორე პრემია (2.000 მან.), მხატვრებისათვის — ერთი პირველი პრემია (3.000 მან.) და ერთი მეორე პრემია (2.000 მან.).

მახარაძელ მშრომელთა დელეგაცია უკრაინაში გაემგზავრა

მ ა ხ ა რ ა ძ ე. (საკ. კორ.). ყოველწლიურად მტკიცდება და ვითარდება მახარაძელ და გენიჩესკელ კოლმეურნეთა მეგობრობა. 10 სექტემბერს მახარაძიდან უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონში გაემგზავრა მახარაძის რაიონის მშრომელთა დელეგაცია, რომლის მიზანია შეამოწმოს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა.

მახარაძელთა დელეგაციაში შედიან შ. დარჩია (სოფელ ჯუმათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი), ტ. ჩხაიძე (შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი), შ. ბასილაშვილი (სოფელ მაკვანეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), ქ. გიორგაძე (მახარაძის მტს-ის დირექტორი) და სხვ.

მახარაძის რაიონის მშრომელთა დელეგაცია გენიჩესკში დარჩება რამდენიმე დღეს, გაეცნობა უკრაინელ მეგობართა მიღწევებს, მათს შესანიშნავ გამოცდილებას სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

საბინაო მშენებლობის უბნებზე

წარმოების მუშებისა და მშენებლების თანამეგობრობის ნაყოფი

გაგივლიათ თუ არა ღრმაღელიდან ავჭალისაკენ და შეგიმჩნევიათ თუ არა, რომ „თბილისის ზღვის" გადმოღმა, ყაენის მთის აქეთა კალთაზე დიდი ახალი საცხოვრებელი უბანია გაშენებული? ორი მხრივ ამართული საცხოვრებელი სახლების მწკრივებს შორის ფართო ქუჩათა პერსპექტივა სწორედ ამ ყაენის მთას ებჯინება და ზევით შემართისაკენ მიიწევს, ლამის ეს სიმაღლეც გადალახოს, მთის პლატოზე აიჭრას და ზღვის მოლივლივე ტალღებს მიუახლოვდეს!

როდესაც თბილისში ზაფხულის პაპანაქება სიცხე მძვინვარებს და გრილი სიო სანატრელი ხდება, ამ მიდამოებისაკენ გასეირნებას არაფერი სჯობს. ჩრდილოვანი ბაღნარებიც ხშირია, „ზღვამდეც" მოკლე მანძილია, ლაღი ბუნების წიაღში იგრძნობთ თავს, მიუხედავად ახლად აგებული მრავალსართულიანი სახლების სიმრავლისა, ახალი ქუჩებისა და ქვემოთ მთავარ მაგისტრალზე ავტომობილების ორომტრიალისა, ტრამვაის მატარებლების ხშირი ქროლვისა.

გუდამაყრის სახელი მიაკუთვნეს ამ უბნის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას. ეს სულ ახალი ამბავია, ვინაიდან ჯერ კიდევ ამ ხუთიოდე თვის წინათ აქ შიშველი ველი იყო. მხოლოდ მარტში გამოჩნდნენ მშენებლები, შემოფარგლეს ველის ერთი კუთხე, გაზომეს, გამოზომეს ცალ მხარეზე გაშენებული სახლებიდან მანძილი, შემდეგ მიწის გათხრა დაიწყეს ახალი საცხოვრებელი სახლების საფუძვლისათვის და ავჭალის გზატკეცილის პარალელურად გუდამაყრის ქუჩის ავჭალისაკენ გაგრძელების პერსპექტივა დასახეს.

ეს მშენებლები თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მუშები, მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები იყვნენ.

გორკელი ავტომობილმშენებლების მაგალითისამებრ თბილისელმა ჩარხმშენებლებმა გადაწყვიტეს დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ საცხოვრებელი სახლების აგებას საკუთარი ძალებით. ქარხნის ხელმძღვანელებმა და ლენინის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ მათი განზრახვა მოიწონეს, მუშებს ყველა შესაძლო დახმარება აღუთქვეს. ამის შემდეგ საქმე აღარ დაყოვნებულა. ჩამოყალიბდა „საკუთარი ძალებით საცხოვრებელ სახლთა მშენებლობის საორგანიზაციო კომიტეტი", შედგენილ იქნა მშენებლობაში მონაწილეობის მიღების მსურველთა სია, აიღეს მიწის ნაკვეთი, მიიღეს საცხოვრებელი სახლის ტიპური პროექტი, შეუთანხმდნენ და ხელშეკრულება დაუდეს მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციას — ამიერკავკასიის მეტალურგმშენის საქალაქო მშენებლობის სამმართველოს, რომ მუშა-მშენებლებს უხელმძღვანელებდნენ სამშენებლო სამუშაოების შესრულებაში, დაეხმარებოდნენ კვალიფიციური მშენებელი ბრიგადების შრომით და ა. შ.

შემდგომში საორგანიზაციო კომიტეტი საკუთარი ძალებით ქარხნის მუშათა საბინაო მშენებლობის საბჭოდ გადაკეთდა. შეუდგნენ პირველი 32-ბინიანი საცხოვრებელი სახლის აგების სამუშაოების შესრულებას. ყოველ დღეს ქარხანაში მუშაობის დამთავრებისთანავე ჩარხმშენებლები და მათი ოჯახის წევრები გადიოდნენ სამშენებლო მოედანზე, მუშაობდნენ კვალიფიციურ მშენებელთა ხელმძღვანელობით, ასრულებდნენ მიწის სამუშაოებს, ბეტონის სამუშაოებს, აწოდებდნენ მშენებლებს საშენ მასალებს და საქმე წინ მიდიოდა.

საპირველმაისოდ უკვე აყვანილი იყო პირველი საცხოვრებელი კორპუსის პირველი სართული, გამზადებული იყო საფუძველი მეორე საცხოვრებელი კორპუსისათვის და ჯერი მიდგა სართულთაშორისი გადახურვის დაწყებაზე, მაგრამ... იმის გამო, რომ რუსთავის ბეტონის კომბინატმა ვერ მოახერხა მშენებლებისათვის სათანადო ფილების, ე. წ. „სიმკარების" მიწოდება, საქმე თითქმის მთელი ორი თვით შეფერხდა, ხოლო ივნისის ბოლო რიცხვებიდან ახალი ძალით განახლდა.

მშენებლობის პერიოდში განმტკიცდა ჩარხმშენებელი მუშების, მოსამსახურეებისა და პროფესიონალი მშენებლების შრომითი თანამეგობრობა, რამაც დიდად შეუწყო ხელი საცხოვრებელი სახლის აგების დაჩქარებას. სამუშაოთა მწარმოებელი, ინჟინერი ა. მამაჯანოვი დიდი ქებით იხსენიებს იმ ჩარხმშენებლებისა და მათი ოჯახის წევრების შრომას, რომლებიც ყოველდღე გამოდიან მშენებლობაზე, უნარიანად ასრულებენ მშენებლების დავალებებს, მუშაობენ თავდადებით და დაუზარებლად. მათ შორის არიან ის ჩარხმშენებლებიც, რომლებიც ამ სახლში შესასახლებელთა სიაში არ არიან, ვინაიდან მათთვის იქვე იწყება მეორე საცხოვრებელი კორპუსის აგება. ჩარხმშენებელი მუშებიდან განსაკუთრებით აღნიშნავენ ზ. კოჩაროვის, ი. დრაგას, ვ. პერეპიჩაევის კარგ მუშაობას. პროფესიონალი მშენებლებიდან თავი გამოიჩინეს დ. გოგაურმა, შ. ტოკლიკიშვილმა. დ. ანდრიასიანმა, ნ. ხუციშვილმა, შ. ხიზანიშვილმა.

ახალი საცხოვრებელი უბნის ამ ცენტრში ეს პირველი სახლია, რომელსაც ჩარხმშენებლები საკუთარი ძალებით აშენებენ.

უკვე იწყება მუშაობა მეორე საცხოვრებელი სახლის ასაგებად. სულ ამ ადგილას ჩარხმშენებლები საკუთარი ძალებით ააგებენ კიდევ სამ საცხოვრებელ კორპუსს. ეს იქნება ოთხსართულიან სახლთა კვარტალი, რომელიც დაამშვენებს მთელ უბანს.

ჩარხმშენებლები ამბობენ, რომ პროფესიონალი მშენებლების დახმარებით და მათთან თანამეგობრობის შემდგომი განმტკიცებით დანარჩენი სამი საცხოვრებელი კორპუსის აგებას ისინი კიდევ უფრო მოკლე ვადებში შეძლებენ.

დ. ამირანიძე.


ეროვნული ბიბლიოთეკა

შავი ზღვით ყოველდღიურად სხვადასხვა მიმართულებით იგზავნება ჭიათურის მარგანეცი. ს უ რ ა თ ზ ე: ფოთის ნავსადგურში გემ „მაკეევკაზე" იტვირთება მარგანეცის მადანი.

ფოტო ს. ონანოვისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

წყალტუბოს რაიონში

ფართოვდება ინდივიდუალური ბინათმშენებლობა

რაიონში ფართო ფრონტით ჩაღდება ინდივიდუალური ბინათმშენებლობა. ათობით მუშა-მოსამსახურეს გამოეყო საკარმიდამო მიწის ნაკვეთები.

საქალაქო საბჭომ ბინების ასაგებად ახლახან გამოუყო ნაკვეთები მეორე სამშენებლო სამმართველოს მუშებს ა. ხარაბაძეს, თ. ორფანიძეს, კავშირგაბმულობის მუშაკს დ. ჯოხაძეს, ავტომძღოლ ა. ბაბუნაშვილს და სხვებს.

სულ ინდივიდუალურ მშენებლობაზე წელს გაცემულია გრძელვადიანი სესხი 170 ათასი მანეთის ოდენობით. ახალმოსახლეთა დასახმარებლად გამოიყო აგრეთვე საშენი მასალები. მათზე განაწილდა 50 ათასი ცალი აგური.

ექიმი — წიგნის ავტორი

საქმედგამმა გამოსცა წყალტუბოელი ავტორის — კურორტის მეექვსე სააბაზანოს მთავარი ექიმის ა. კირტავას წიგნი: „მაობლიტერებელი ენდარტერიიტით დაავადებულთა წყალტუბოს აბაზანებით მკურნალობის საკითხისათვის".

ექსკურსია სოხუმში

ამ დღეებში ქალაქ-ბაღის სოხუმის დასათვალიერებლად იყვნენ პურის ქარხნისა და სახბანკის მუშა-მოსამსახურეები. ექსკურსიები საბჭოთა პროფკავშირების 50 წლისთავთან დაკავშირებით მოაწყეს ადგილობრივმა პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა.

„ლადო მესხიშვილი და ქართული თეატრი"

ამ თემაზე წაიკითხა ლექცია კურორტ წყალტუბოს ავადმყოფ-დამსვენებლებისათვის პროფესორმა ა. ფაღავამ.

ლექციამ მსმენელთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

ვ. დარდგანიძე,
გაზეთ „ახალი წყალტუბოს" რედაქციის მდივანი.

პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

მეცხვარეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის

ყაზბეგის რაიონის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ პარტიის მიერ დასახულ ამოცანას—უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ და გამოთქვეს მზადყოფნა მთელი მონდომებით, ენერგიის დაუზოგავად იბრძოლონ მეცხვარეობის როგორც მეურნეობის მაღალშემოსავლიანი დარგის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის. ჩვენს რესპუბლიკაში მეცხვარეობის განვითარების საკითხებს დიდი ყურადღება დაუთმო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა, რადგან მეურნეობის ამ დარგის მკვეთრ განვითარებაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული პარტიის მიერ დასახული ისტორიული ამოცანის შესრულება.

ყაზბეგის რაიონის პარტიული ორგანიზაციების მთელი პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა მიმართულია იქითკენ, რომ აღაფრთოვანონ და დარაზმონ მშრომელები ცხვრის სულადობის ზრდისა და მისი პროდუქტიულობის შემდგომი გადიდებისათვის. კომუნისტები სათავეში უდგანან დიდ სახალხო მოძრაობას, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოწოდებამ გამოიწვია. გასულ წელთან შედარებით ახლა რაიონის კოლმეურნეობები უფრო გონივრულად იყენებენ საკოლმეურნეო წარმოების რეზერვებს, ხოლო პარტიული ორგანიზაციები უფრო უნარიანად ახამებენ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას სამეურნეო საქმიანობასთან. ამ მხრივ კარგ მაგალითს იძლევიან სოფლების ცდოს, სნოს და ჯუთის კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციები.

სოფელ ცდოს კალინინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია აქტიურად გამოეხმაურა პარტიის მოწოდებას. ივნისის პირველ რიცხვებში კოლმეურნეობის მთელ აქტივთან ერთად საქმიანად განიხილეს მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი. კომუნისტებმა და უპარტიო კოლმეურნეებმა ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს და გააჩაღეს ბრძოლა ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით განაღდებისათვის. ამ ბრძოლაში შესანიშნავ შედეგებს აღწევენ მეცხვარეობის ბრიგადები, რომლებსაც კომუნისტები ა. წიკლაური, ლ. წიკლაური და კომკავშირელი ქ. წიკლაური ხელმძღვანელობენ. პირუტყვის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების შედეგად ბრიგადებში მინიმუმამდეა დაყვანილი პირუტყვის სიკვდილიანობა. პირველი პარსვისას თვითეულ ცხვარზე მიღებულია 2,8 კილოგრამი მატყლი.

შეცდომა იქნებოდა იმის თქმა, რომ თითქოს ყველა პარტიული ორგანიზაცია ასე მუშაობს. პირიქით, უკანასკნელ ხანს რაიონის ზოგიერთმა პარტიულმა ორგანიზაციამ საკოლმეურნეო წარმოებისადმი ხელმძღვანელობა შეასუსტა. არადამაკმაყოფილებლად მუშაობს, მაგალითად, სოფელ ჯერგეტის საკოლმეურნეო პარტორგანიზაცია. იგი ღრმად ვერ სწვდება კოლმეურნეობის ეკონომიკას. თვითდინებაზეა მიშვებული სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა. პარტიულ კრებებზე მოუმზადებლად, ნაჩქარევად განიხილავენ საარტელო მეურნეობის საკითხებს. იმის გამო, რომ პარტიულმა ორგანიზაციამ ქმედითი ზომები არ მიიღო პირუტყვის მოვლა-პატრონობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, კოლმეურნეობას სამარცხვინო მაჩვენებლები აქვს ნამატის მიღებისა და მატყლის გამოსავლიანობის დარგში.

ერთი დიდი ნაკლი, რაც აქამდე აღმოუფხვრელია საკოლმეურნეო მეცხვარეობაში, ეს არის პირუტყვის ბერწიანობა და ცხვრის სიკვდილიანობის ხშირი შემთხვევები. მარტო გასულ წელს ბერწიანობისა და სიკვდილიანობის შედეგად რაიონის კოლმეურნეობებმა ორი ათასზე მეტი ცხვარი და ბატკანი დაკარგეს. სოფელ გერგეტის კოლმეურნეობაში ყოველ ას სულ დედაცხვარზე ბერწად დარჩა 15. ასეთივე მდგომარეობა იყო ყაზბეგის, კობის და სხვა კოლმეურნეობებში. ცხვრის ბერწიანობის მთავარი მიზეზია პირუტყვის ცუდი მოვლა-პატრონობა.

პრესაში არაერთხელ დაწერილა ყიზლარის საზამთრო საძოვრების ტრასის მოუწყობლობის შესახებ. სამწუხაროდ, ეს მდგომარეობა ახლაც უცვლელია. ტრასის სივიწროვე, წყლის ნაკლებობა, დასასვენებელი მოედნების უქონლობა და სხვ. დიდად აძნელებს ცხვრის ნორმალურ მგზავრობას, იწვევს პირუტყვის დასუსტებასა და სიკვდილს.

ცხვრის სწრაფ გამრავლებას ხელს უშლის აგრეთვე ის, რომ რაიონის კოლმეურნეობებში დედაცხვრის რაოდენობა საერთო სულადობის 50 პროცენტზე ნაკლებს შეადგენს. ეს გარემოება სერიოზულ ზიანს აყენებს საზოგადოებრივ მეცხვარეობას.

ყოვლად დაუშვებელია, როცა ზამთრის საძოვრებზე, განსაკუთრებით დოლის დროს, ზოგიერთ ფერმაში საზოგადოებრივი და კოლმეურნეთა ცხვარი ერთად არის მოთავსებული. ეს ხელს უწყობს პირუტყვის განიავებასა და აღრიცხვაში არევდარევას. პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი კოლმეურნეობათა გამგეობებთან ერთად ამჟამად იღებენ ღონისძიებებს იმისათვის, რომ ზამთარში კოლმეურნეთა ცხვარი განცალკევდეს საზოგადოებრივი ფარებისაგან. ამასთან ერთად ჩვენს მწყემსებს, რა თქმა უნდა, კვლავაც დავეხმარებით პირად სარგებლობაში იყოლიონ ცხვრის ის სულადობა, რაც კოლმეურნეო წესდებით არის გათვალისწინებული. მაგრამ ამან ზიანი არ უნდა მიაყენოს საზოგადოებრივ მეცხვარეობას.

საჭირო იქნება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მიიღოს ზომები ზამთრის საძოვრების გაფართოებისთვის, რადგან არსებული საძოვრები ამჟამადაც არ არის საკმარისი პირუტყვის მთელი სულადობისათვის, ხოლო მით უმეტეს აღარ იქმარებს 2-3 წლის შემდეგ.

მეცხვარეობაში მთავარი როლი მწყემსს ეკუთვნის. მწყემსობა მთიელთა საყვარელი პროფესიაა, რომელიც დაკავშირებულია დიდ სიძნელეებთან. უკანასკნელ წლებში პარტიისა და მთავრობის დახმარებით ბევრი რამ გაკეთდა მწყემსთა შრომისა და ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. მაგრამ ამ საქმეში კვლავ ბევრია ნაკლი. მაგალითად, ზამთრის საძოვრებზე მყოფი მწყემსებისათვის მოუგვარებელია ჟურნალ-გაზეთებისა და კორესპონდენციების მიწოდება. რადგან ჩორნი რინოკის საფოსტო განყოფილება საძოვრების ძირითად მასივს დაშორებულია 80-100 კილომეტრით. აუცილებელია გამოიყოს ერთი საფოსტო ავტომანქანა, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის ყველა ფერმას მოემსახურება.

მწყემსები ყოველწლიურად 7-8 თვეს ატარებენ ყიზლარის საძოვრებზე. ამ ხნის მანძილზე იშვიათია, რომ მათთვის მოეწყოს ლექცია-მოხსენება, გაიმართოს კონცერტი. საჭირო კი არის, რომ მათთან მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სისტემატურად წარმოებდეს. ამიტომ ჩვენი აზრით, უკეთესი იქნებოდა, რომ საქართველოს მეცხოველეობის სამანქანო სადგური ჩორნი რინოკში გადაგვეცა რომელიმე რაიონისათვის, რათა სადგურთან შეიქმნას პარტიის რაიკომის მუშაკთა ჯგუფი, რომელიც მწყემსთა შორის პარტიულ-პოლიტიკურ და საგიტაციო-მასობრივ მუშაობას უხელმძღვანელებდა, დარაზმავდა მეცხვარეებს პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების გადაწყვეტისათვის საბრძოლველად.

მეცხვარეთა წახალისების მიზნით კარგი იქნება, თუ რესპუბლიკაში დაწესდება ქების სიგელები, შემოღებულ იქნება სამკერდე ნიშნები „მოწინავე მწყემსი", „მოწინავე ბრიგადირი".

როგორც ცნობილია, 1953-1954 წლის ზამთარმა დიდი ზარალი მიაყენა ჩვენს მეცხვარეებს. მას შემდეგ მხოლოდ სამი წელიწადი გავიდა და კოლმეურნეთა თავდადებული შრომით, პარტიისა და მთავრობის დახმარებით ცხვრის დანაკლისის დიდი ნაწილი უკვე აღდგენილია. წელს კარგად ჩაატარეს დოლი იმ რაიონების მეცხვარეებმა. რომლებიც ცხვარს კასპიისპირეთში აზამთრებენ. მათ შორის ყაზბეგის რაიონმა ნამატისა და მატყლის მიღებაში მეორე ადგილი დაიკავა.

წელს რაიონში საშუალოდ ერთ სულ ცხვარზე პირველი პარსვისას მიღებულ იქნა 1,9 კილოგრამი მატყლი, ხოლო ცალკეულ კოლმეურნეობებში, როგორიც არის არშის, კარკუჩის, ახალციხის, გიმირის და სხვა კოლმეურნეობები, თვითეულ ცხვარზე ორ კილოგრამზე მეტი მატყლი მიიღეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ არტელებში წელს თვითეულ ცხვარზე ოთხ კილოგრამზე მეტ მატყლს მიიღებენ.

უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება ექცევა ცხვრის ჯიშიანობის გაუმჯობესებას. ახლა რაიონის ყველა კოლმეურნეობაში ცხვრის საერთო სულადობის 60 პროცენტს ნახევრადნაზმატყლიანი ცხვარი შეადგენს. ცხვრის ჯიშიანობის შემდგომი გაუმჯობესება იმის საწინდარი იქნება, რომ უახლოეს წლებში დიდად გაიზრდება მატყლის წარმოება. პირუტყვის ჯიშიანობის გაუმჯობესების დაჩქარებისათვის საჭიროა სოფლის მეურნეობის სამინისტრო დაგვეხმაროს ცხვრის ხელოვნური ნერბვის კეთილმოწყობილი პუნქტების შექმნაში. ჩვენს რაიონში დღემდე ნერბვის არც ერთი კარგად მოწყობილი პუნქტი არ არის. არადამაკმაყოფილებელია პირუტყვის ზოოვეტმომსახურება. არის შემთხვევები, როცა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტსამმართველოს დაუდევრობით ზამთრის საძოვრებზე არ იშოვნება საჭირო მედიკამენტები.

რაიონის მშრომელებმა უდიდესი ყურადღებით განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წერილი მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და რაიონების პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და კომკავშირული ორგანოებისადმი, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებისადმი, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისადმი, ყველა კოლმეურნისადმი, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი მეცხვარეობის შემდგომი განვითარებისა და მატყლის წარმოების გადიდების შესახებ. წერილის განხილვასთან დაკავშირებით მეცხვარეებმა იკისრეს მკვეთრად გაადიდონ ცხვრის სულადობა და მატყლის წარმოება, წელს თვითეულ ცხვარზე მიიღონ 3,5-4 კილოგრამი მატყლი, მოახდინონ ბერწიანობის ლიკვიდაცია, საუკეთესოდ მოუარონ პირუტყვს, ყველაფერი გააკეთონ მატყლისა და მეცხვარეობის სხვა პროდუქტების თვითღირებულების შემცირებისათვის.

მიმდინარე წლის ივლისში რაიონში ჩატარდა „მეცხვარის დღე". სხვა ღონისძიებებთან ერთად ფართოდ იქნა განხილული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წერილი და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შედეგები.

ყაზბეგელ კოლმეურნეებს მეცხვარეობის საქმის დიდი გამოცდილება აქვთ. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ისინი უნარიანად გამოიყენებენ ამ გამოცდილებას და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი შეჯიბრების ფართოდ გაშლებით წარმატებით გაანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებებს, ქვეყანას მისცემენ მეტ და მაღალხარისხოვან მატყლს, ხორცს, ერბოს და მეცხვარეობის სხვა პროდუქტებს.

ა. შადური,
საქართველოს კპ ყაზბეგის რაიკომის პირველი მდივანი.

პრესის მიმოხილვა

გაზეთი და რაიონის ცხოვრება

საკვირაო ნომრის პირველ გვერდზე დაბეჭდილია სანდომიანი გოგონას, სოფელ ჩხიკვთის ბიბლიოთეკის მუშაკის ნ. სიხუაშვილის ფოტოპორტრეტი. გაზეთის მოწინავე წერილი მიძღვნილია ამ ბიბლიოთეკარის მუშაობისადმი. თეთრი წყაროს რაიონული გაზეთი „საკოლმეურნეო გზა" საინტერესოდ მოუთხრობს მკითხველებს ამ თავმდაბალი, თავისი საქმის ერთგული, უბრალო საბჭოთა ადამიანის მუშაობაზე. ნ. სიხუაშვილის კარგი მუშაობის შედეგად ბიბლიოთეკამ მკითხველთა ფართო აქტივი შემოიკრიბა. ამჟამად ამ ბიბლიოთეკაში არსებული მხატვრული, პოლიტიკური და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურით 150 მუდმივი მკითხველი სარგებლობს.

„ნ. სიხუაშვილი, — წერს გაზეთი, — თავის მუშაობაში ფართოდ იყენებს წიგნის პროპაგანდის მოწინავე გამოცდილებას. იგი სისტემატურად გადის მინდვრად მომუშავე კოლმეურნეებთან. წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით დატვირთულს ხშირად ნახავთ მას ქსოვრეთის, ხოპისის, გუდარეხის, ტბისის კოლმეურნეობათა მშრომელებთან"...

გაზეთი აღნიშნავს, რომ ნ. სიხუაშვილი თვითეულ მკითხველს თავისებურად უდგება, მისი ასაკის, განვითარების მიხედვით აწვდის წიგნს, ეხმარება საჭირო ლიტერატურის შერჩევაში და ა. შ.

გაზეთში დაბეჭდილი ამ წერილის ღირსება მარტო ის კი არ არის, რომ მასში ლაპარაკია მოწინავე ბიბლიოთეკარის მუშაობის გამოცდილებაზე, არამედ ისიც, რომ წერილი ნათელ წარმოდგენას იძლევა თანამედროვე საბჭოთა კულტურულ სოფელზე, მის განათლებულ ადამიანებზე, იმაზე, თუ როგორ არის დამკვიდრებული წიგნი სოფლად, როგორ იმაღლებენ ცოდნის დონეს რიგითი საბჭოთა ადამიანები. რა თქმა უნდა, გაზეთში დაბეჭდილი ასეთი წერილები, რომლებშიც რეალურად იქნება მოცემული ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის კულტურული სახე, სარგებლობას მოუტანს მკითხველებს, კიდევ უფრო ღრმად გააცნობს მათ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, მათი კულტურული დონის ამაღლებისათვის ბრძოლაში კომუნისტური პარტიის მიერ გაწეულ უდიდეს მუშაობას.

თეთრი წყაროს რაიონული გაზეთის „საკოლმეურნეო გზის" ფურცლებზე დროგამოშვებით იბეჭდება მასალები რაიონის მრავალფეროვან ცხოვრებაზე, კოლმეურნეობათა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობაზე, რაიონის მშრომელთა შრომასა და ყოფაცხოვრებაზე, მათს თავდადებაზე მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგში. ამ მხრივ საინტერესოა 4 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილი წერილი „45 წელი სოფლის მასწავლებლად". მასში ლაპარაკია საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის, პენსიონერ თამარ სალარიძის მუშაობაზე, მის მიერ განვლილ გზაზე, მშობლიური სოფლის სკოლაში მის დიდ დამსახურებაზე.

გაზეთში მრავალფეროვანი მასალებით არის წარმოდგენილი საკოლმეურნეო ცხოვრება. მის ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილები — „სანიმუშოდ მოვემზადოთ მოსავლის აღებაზე", „მექანიზატორთა დიდების საქმე", „მოსავალს ავიღებთ 10 სამუშაო დღეში", „შევქმნათ მტკიცე საკვები ბაზა", აგრეთვე გვერდები და განყოფილებები ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ერთგვარ წარმოდგენას იძლევა გაზეთის იმ მუშაობაზე, რასაც იგი ეწევა რაიონის ცხოვრების გაშუქებისათვის. მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების დღეებში გაზეთი ბეჭდავდა ოპერატიულ მასალებს პურეულის მკის მიმდინარეობაზე, მექანიზატორთა წარმატებებზე, სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის კოლმეურნეთა ბრძოლაზე. მართალია, ყველა ეს მასალა დამაკმაყოფილებლად არის გაკეთებული, მაგრამ სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის რაიონის მშრომელთა ბრძოლა ჯერ კიდევ ვერ პოულობს ჯეროვან ასახვას „საკოლმეურნეო გზის" ფურცლებზე.

ცნობილია, რომ თეთრი წყაროს რაიონში მეცხოველეობა მეურნეობის წამყვანი დარგია. მართალია, გაზეთში ვხვდებით მასალებს მეცხოველეობის საკითხებზე, იწერება ამ დარგის წარმატებებსა და ნაკლოვანებებზე, მაგრამ გაზეთის მუშაობა ამ მხრივ სათანადოდ მაინც ვერ უპასუხებს იმ ამოცანებს, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ დაგვისახა — დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. გაზეთს ჯერ კიდევ არ გაუშლია ფართო ბრძოლა ამ ისტორიული მნიშვნელობის ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის. გაზეთში ნაკლებად ვხვდებით ისეთ მასალებს, რომლებშიც ლაპარაკი იქნებოდა იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს რაიონში ამ მხრივ, როგორ რაზმავენ მშრომელებს პარტიული ორგანიზაციები ამ ამოცანის განხორციელებისათვის. განა ეს თემა რაიონის სისხლსავსე, მჩქეფარე ცხოვრების განუყოფელი ნაწილი არ არის?

კარგია, რომ „საკოლმეურნეო გზის" რედაქცია ცდილობს გაზეთის თვითეული ნომერი მიმზიდველად გააფორმოს. მაგრამ ზოგჯერ ამას ვერ აღწევს. მაგალითად, 26 მაისის ნომერში გაზეთმა მისცა თითქმის მთელი გვერდი საერთო სათაურით „იზრდება და კეთილმოწყობილი ხდება ჩვენი დაბა". რა თქმა უნდა, რედაქციის გადაწყვეტილება მკითხველისათვის მიეწოდებინა გვერდი საინტერესო მასალებით, რომლებშიც ასახული იქნებოდა დაბის მრავალფეროვანი ცხოვრება, კარგია. მაგრამ მასალები ვერ უპასუხებენ ამ გადაწყვეტილებას. გვერდში კარგი, საინტერესო ინფორმაციებისა და ძარღვიანი კორესპონდენციების მაგივრად დაბეჭდილია უბრალო ქრონიკები ამა თუ იმ ქუჩის კეთილმოწყობის, სახლის, მაღაზიის მშენებლობის შესახებ. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ რედაქციას არა აქვს საჭირო მასალები კარგი მიმზიდველი ნომრის გასაკეთებლად. გაზეთის ნაკლია ისიც, რომ ხშირად მისი ნომრები გადატვირთულია ისეთი ოფიციალური მასალებით, რომელთა დაბეჭდვა აუცილებელი არ არის. მაგალითად, 28 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულია საკავშირო და რესპუბლიკური დეპეშათა სააგენტოების ათზე მეტი მასალა, რომელთა ნახევარზე მეტის მიცემა საჭირო არ იყო.

რედაქციის მუშაკებს უნდა ახსოვდეთ, რომ რაიონული გაზეთის მთავარი ამოცანაა ფართოდ და ყოველმხრივ გააშუქოს რაიონის ცხოვრება, კოლმეურნეობების ავკარგი, ის საკითხები, რომლებიც სისხლხორცეულად არის დაკავშირებული რაიონის მშრომელთა საქმიანობასთან, მათს წინაშე მდგომ ამოცანებთან. ყოველივე ამას გაზეთი შეძლებს სოფლკორთა ფართო აქტივზე, რაიონის ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებზე დაყრდნობით, მათთან ყოველდღიური კავშირის განმტკიცებით, სარედაქციო მუშაობაში მათი ჩაბმით.

ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 120 და გარდაცვალების 50 წლისთავისათვის

ილიას ობელისკი წიწამურში.

ფოტო რ. აკოფოვისა.

წიწამურთან

... ერთი კვირით ადრე ილიას მოკვლამდე ილია, ოლღა და მე ეტლით მივემგზავრებოდით. წიწამურთან ილიამ ეტლი გააჩერებინა, გადმოვიდა და დიდხანს ბოლთას სცემდა ღრმად ჩაფიქრებული.

არტურ ლაისტის მოგონებიდან.

... ერთი კვირის წინ, —
ჰო, წინა შაბათს,
საგურამოსკენ ეტლი მიჰქროდა.
მძიმე რამ ფიქრი მიეჭრა, ალბათ...
იჯდა ილია, სდუმდა, ფიქრობდა.
სათქმელი ყელში თუ ჩაელობა?
ორი სიტყვაც კი ცოლს არ აღირსა...
ვეღარც მას ამჩნევს, ვეღარც მეგობარს,
არც ესმის კითხვა მეგობარისა...
თქვა წიწამურთან: „შეაჩერეთო",
და წიწამურთან ეტლი შეჩერდა...
როგორ აენთო, რათ შემოენთო
ასეთი მწვავე, უწყალო სევდა?
რამ შემოჰკვნესა ასე, ნეტავი,
რატომ მოუნდა ძირს ჩამოხდომა?
გული თუ დარჩა ჩაუკეტავი
და შეეპარა შიგ შემოდგომა...
ჰაუ, სად გაქრა ძალა ქებული?
გაოცებული უმზერდა ველიც.
კაცური ტვირთით დამძიმებული
იდგა საქვეყნო ტვირთის მზიდველი...
... შემდეგ კი შარას გაუყვა დინჯად.
აკვირდებოდა როგორც სტუმარი.
განსასვენებლად ხომ არ მოსინჯა
ზედ სარეცელი და სასთუმალი?

მარიკა ბარათაშვილი.

სტენდები მოგვითხრობენ

ილია ჭავჭავაძის იუბილეს წინა დღეებში დიდი მზადებაა მთელ საქართველოში. მარქსის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში ყოველდღიურად უამრავი მშრომელი ათვალიერებს სტენდებს, რომლებიც მიძღვნილია ილია ჭავჭავაძის დაბადების 120 და გარდაცვალების 50 წლისთავისადმი.

პირველ სტენდზე გამოფენილი მასალები ასახავენ დიდი მწერლის ბიოგრაფიულ მომენტებს. მომდევნო სტენდზე გამოფენილია მწერლის დაბადების 100 წლისთავისათვის გამოცემული საიუბილეო ტომები. ფოტოსურათებზე აღბეჭდილია ილიას სამუშაო ოთახი თბილისში, საწერი მაგიდა საგურამოში, წყარო, რომლის მახლობლად, კაკლის ქვეშ, ხშირად უყვარდა პოეტს ჯდომა.

დიდია ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ქართული ჟურნალისტიკის განვითარების საქმეში. მესამე სტენდზე გამოფენილია გაზეთი „ივერია", სალიტერატურო ჟურნალი „საქართველოს მოამბე". მწერლის ნაწარმოებებს „განდეგილის", „მგზავრის წერილების", „დედა და შვილის", „ცხოვრება და კანონის" ცალკეული გამოცემები, ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებები, თარგმნილი და გამოცემული რუსულ, გერმანულ, ინგლისურ, სომხურ, უკრაინულ, ოსურ და სხვა ენებზე. ფოტოსურათები ასახავენ ვაჟა-ფშაველას ილია ჭავჭავაძესთან გაზეთ „ივერიის" რედაქციაში, ილიას უცხოელ მეგობრებს გერმანელ არტურ ლაისტს და ინგლისელ მარჯორი უორდროპს.

შემდეგი სტენდი მოგვითხრობს ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

1907 წლის 12 სექტემბერს სოფელ წიწამურთან მოხდა ტრაგედია — ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობა მეფის ოხრანკის აგენტების მიერ. ფოტოსურათზე აღბეჭდილია სამგლოვიარო პროცესია, ი. ნიკოლაძის ცნობილი ქანდაკება „მწუხარე საქართველო" ილიას საფლავზე. აქვეა წიგნი, რომელშიც დაბეჭდილია ქართველ მოღვაწეთა სიტყვები, წარმოთქმული ილიას მოკვლის გამო. დიდმა აკაკიმ უდიდესი გულისტკივილით განიცადა მეგობრის ვერაგული მკვლელობა. ილიას დაკრძალვის დღეს აკაკი მოკლე მგრძნობიარე სიტყვით ეთხოვება დიდ ილიას:

... „მშვიდობით, ძმაო!.. ნახევარ საუკუნის განმავლობაში ერთს უღელს ვეწეოდით; ერთი გზით დავდიოდით...

შენ შენი ქვეყნიური ვალი შეასრულე და განისვენე სამარადისოდ. ამიერიდან ეკუთვნი ისტორიას. შენი საქმეები და ღვაწლი თავისთავად ილაპარაკებენ... თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები, და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და გონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინუსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარა ნახავ! როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი შენი გახდა მიზეზად ხალხის ამოძრავებისა, და აჰა საქართველოს ყოველ კუთხიდან თავმოყრილნი გეხვევიან გარს!.. და ვინ იცის, ეგება სიკვდილით მაინც განამტკიცო ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწირე: ერთობას, თანასწორობას, ძმობას და სიყვარულს!..."

დადგა საკვების დასილოსების გადამწყვეტი პერიოდი

ბიბლიოთეკა

გასული წლის ნაკლოვანებები მეორდება

პასუხსაგები ამოცანის წინაშე დგანან ონის რაიონის კოლმეურნეობები. წელს მათ 10 ათასი ტონა სილოსი უნდა დაამზადონ.

დავალების შესრულებისათვის წარმატებით იბრძვის შქმერის კოლმეურნეობა, რომელმაც რაიონში ყველაზე ადრე დაიწყო სილოსის ჩადება და გეგმით გათვალისწინებული 610 ტონიდან უკვე 400 ტონა საკვები დაასილოსა.

მაგრამ რაიონის უმრავლეს კოლმეურნეობებში სამარცხვინო ჩამორჩენაა. მთელ რიგ სასოფლო-სამეურნეო არტელებში იმის იმედი აქვთ, რომ სილოსის დამზადების გეგმას სანაწვერალო ან სპეციალურ ნაკვეთებზე აღებული სიმინდით შეასრულებენ. ამიტომ დროზე არ შეეცადნენ დაესილოსებინათ რაც შეიძლებოდა მეტი ბალახი. 25 აგვისტოსათვის 36 კოლმეურნეობიდან დასილოსების გეგმა მხოლოდ 5-6 კოლმეურნეობას ჰქონდა შესრულებული და ისიც სანახევროდ, ხოლო რაიონში მთლიანად დამზადებული იყო 3.840 ტონა სილოსი, რაც ოდნავ აღემატება მიცემული გეგმის მესამედს.

სიმინდი უკვე გასცილდა რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეს, ბალახი გვალვისაგან გახმა, ნაწვერალზე ნათესებს კი კარგი პირი არ უჩანს. ასეთი მდგომარეობა არ აწუხებს გადამშის ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ე. ბაზაშვილი). აქ შარშანაც ჩაშალეს სილოსის ჩადების დავალება — 150 ტონის ნაცვლად 50 ტონა საკვები დაასილოსეს და ამას დასჯერდნენ. წელს ნაცვლად იმისა, რომ მთელი შესაძლებლობა გამოეყენებინათ და სილოსის ჩადების დავალება გადაჭარბებით შეესრულებინათ, დასილოსება არც კი დაუწყიათ. კვაჟა-გომის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ლ. ჩიხრაძე) შარშან 140 ტონის ნაცვლად 60 ტონა სილოსი დაამზადა, წელს კი 175 ტონის ნაცვლად ჯერჯერობით 30 ტონა აქვთ ჩადებული. გასული წლის ნაკლოვანებანი მეორდება აგრეთვე ნიგვზნარის, ნიგავზების, შეუბნის, ონჭევის, ზემო ბარის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში. შარშან რაიონში 8.500 ტონის ნაცვლად 5.086 ტონა სილოსი დამზადდა. ეს კი საშუალოდ ერთ ძროხაზე 1,5-2 ტონას შეადგენდა.

სილოსის დამზადების საქმეში მექანიზაციის საწინააღმდეგო განწყობილებასაც ვხვდებით. ჯერ კიდევ ივლისში სოფლმომარაგების მაღაზიამ რაიონში შემოზიდა სილოსის საჭრელი 22 მარტივი მანქანა, რომლების მუშაობა იმ კოლმეურნეობებში, სადაც ელექტროდენი არ არის, თავისუფლად შეიძლება ტრაქტორის ან ავტომანქანის ძრავაზე, მაგრამ ნიგვზნარის, ჩორდის, ქვედის, წედისის, წოლის, ჟაშქვის და კვაჟა-გომის კოლმეურნეობებმა ამჯობინეს სასილოსე მასის ხელით დაჭრა და მანქანების ნაწილი დღესაც მაღაზიაში აწყვია.

როგორც ფაქტები მეტყველებენ, სილოსის დამზადების საქმეში მდგომარეობა ჯერჯერობით შარშანდელზე უკეთესი არ არის. პარტიის მიერ დასახული ახალი ამოცანა — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ, რაიონის პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, ყველა მშრომელს ავალებს ყველაფერი გააკეთონ საკვები ბაზის განმტკიცებისათვის.

ა. ბეშიძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

იყენებენ რეზერვებს

ჩაებნენ რა დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, საქართველოს მეცხოველეები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ 1957 წელი გადააქციონ გარდატეხის წლად ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მკვეთრად გადიდების საქმეში.

ამას წინათ შედგა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პურპროდუქტების მთავარი სამმართველოს კომბინირებული საკვების წარმოების მუშაკთა თათბირი.

თათბირზე აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს პურპროდუქტების ნავთლუღისა და ქუთაისის ბაზებში მოეწყო კომბინირებული საკვების წარმოების საამქროები, რომლებმაც უკვე გამოუშვეს პირველი პროდუქცია 6.000 ტონის რაოდენობით.

აწონდაწონეს და გაიანგარიშეს რა თავიანთი შესაძლებლობანი, ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად თათბირის მონაწილეებმა იკისრეს შემდეგი **ვალდებულების შესრულება:**

1957 წლის ბოლომდე კომბინირებული საკვების ნავთლუღის საამქროში გაადიდონ ამ პროდუქციის გამოშვება 13 ათასიდან 15 ათას ტონამდე, ხოლო ქუთაისის საამქროში — 12 ათასიდან 15 ათას ტონამდე.

მიმდინარე წლის მესამე კვარტალში გადააკეთონ პურპროდუქტების წნორისა და სოხუმის ბაზებში სასაწყობო შენობები და მოაწყონ მათში კომბინირებული საკვების დამზადება იმ ანგარიშით, რომ წლის ბოლომდე თვითეულ მათგანში გამოუშვან სულ ცოტა 5.000 ტონა, სულ კი 10 ათასი ტონა კომბინირებული საკვები.

მოაწყონ მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში პურპროდუქტების ახალციხის, გორის და ცხაკაიას ბაზებში კომბინირებული საკვების წარმოების საამქროები, რომლებიც 1958 წლის 1 იანვრიდან დღეღამეში გამოუშვებენ 60 ტონა პროდუქციას.

მნიშვნელოვნად გააფართოონ ასორტიმენტი და უზრუნველყონ გამოშვებული პროდუქციის მაღალი ხარისხი.

ახალი სახელმძღვანელო

საქმედგამმა გამოსცა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ი. რუხაძის წიგნი „ნევროპათოლოგია", რომელიც გათვალისწინებულია ნევროპათოლოგიის პროპედევტიკული კურსის შესასწავლად.

სახელმძღვანელოში, რომელიც დაწერილია კარგი, გამართული ქართულით, აღწერილია ნერვული სისტემის ანატომიურ-ფიზიოლოგიური საფუძვლები, ნერვული სისტემის დაავადების სიმპტომატოლოგია და მისი გამოკვლევის მეთოდები. განსაკუთრებით საინტერესოა თავი, რომელიც მიძღვნილია ვეგეტაციური ნერვული სისტემისადმი. გასაგებად და დაწვრილებით გადმოცემულია ვეგეტაციური ნერვული სისტემის საკმაოდ რთული გამოკვლევის მეთოდიკა.

წიგნში ყოველი პრობლემა გაშუქებულია თანამედროვე მოწინავე მეცნიერების თვალსაზრისით. იგი დიდ დახმარებას გაუწევს სტუდენტებს, მით უმეტეს, რომ ასეთი ტიპის სახელმძღვანელო ქართულ ენაზე თითქმის არ მოიპოვება.

ილია პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორებთან.

ქართველი ერის დიდი მოამაგე

პ. რატიანი

ილია ჭავჭავაძის უკვდავი სახელი ქართველი ერის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურის ისტორიის მთელ ეტაპს განასახიერებს.

ამ დიდი ადამიანის მოღვაწეობისა და შემოქმედების უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი სამშობლოსადმი უანგარო, თავდადებული სამსახურია. ქართველი ერი, მისი მშობლიური მიწა-წყალი იყო ილიას სათაყვანებელი, და სწორედ საქართველოს სიყვარულს, ქართველი ერის ინტერესებს ანაცვალა მან მთელი თავისი სახელოვანი სიცოცხლე.

პირველსავე ლექსში „ყვარლის მთებს" მშვენივრად მოჩანს ილიას მრწამსი:

„არ მომწონს თავი, მეგობრებო, რომ
დაბადება
თქვენ შორისა მხვდა, ბუნებისა თქვენის
ვარ შვილი,
გრიგალთა მეხთა, ქუხილთ შორის
ქართვლად გაზრდილი".

იმ მძიმე დროს, როდესაც საქართველო სასტიკი ეროვნული და სოციალური ჩაგვრის უღელქვეშ გმინავდა, ხოლო გადაგვარების გზაზე დამდგარი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა დედაენაზე ლაპარაკსაც კი თაკილობდა, დიდი პოეტი და მოქალაქე ამაყობდა თავისი ქართველობით და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იწვევდა ქართველი ერის მტრებს. „აჩრდილში" და „მგზავრის წერილებში", რომლებიც ილიას პირველი დიდი ნაწარმოებებია, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთელი პროგრამაა გადაშლილი.

ილია ჭავჭავაძემ პირველმა აღმართა დიადი, რევოლუციურ-დემოკრატიული საზოგადოებრივი მოძრაობის დროშა, რომლის ერთ მხარეს ეწერა: „ძმობა, ერთობა, თავისუფლება", ხოლო მეორე მხარეს: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნისო".

ილია ჭავჭავაძე ეკუთვნის იმ დიდბუნებოვან ადამიანთა რიცხვს, რომლებიც მზად არიან თავიანთ რწმენას შესწირონ ყველაფერი, თვით სიცოცხლეც კი. ილიას სიყვარული სამშობლოსადმი უაღრესად წმინდა, ამაღლებული და უსაზღვრო იყო. ძნელია აუღელვებლად წაიკითხო პოეტის სიტყვები, რომლითაც ის სამშობლოს მიმართავს:

„მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე
სიყვარული,
ჰოი, მამულო, გამიქრა მე ძილი და შვება!
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ
სულგანაბული,
ღამე თენდება ეგრე ჩემი და დღე
დამდება".

მაგრამ ილიას სიყვარული სამშობლოსადმი როდი იყო პასიური, მჭვრეტელობითი ხასიათის სიყვარული; პირიქით, მისი პატრიოტიზმი გამოირჩევა მებრძოლი სულისკვეთებით. ილია ჭავჭავაძე მეხად ევლინებოდა ქართველი ხალხის გარეშე თუ შინაურ მტრებს, რომლებიც ცდილობდნენ ჩვენი ენისა და კულტურის, ჩვენი ეროვნული გრძნობების შეურაცხყოფას და აბუჩად აგდებას.

ილიას პასუხი შავრაზმელი კატკოვისადმი, მისი ბრძოლა იანოვსკისა და მეფის მთავრობის სხვა მოხელეების წინააღმდეგ სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის, მისი ინტერესების თავგანწირული დაცვის შესანიშნავი მაგალითებია.

ასევე ულმობლად ებრძოდა ილია ჭავჭავაძე ქართველი თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის იმ ნაწილსაც, რომელიც ქართველი ხალხის ნაოფლარით ცხოვრობდა, ხალხის კეთილდღეობასა და სამშობლოს ინტერესების დაცვაზე კი სრულიად არ ზრუნავდა.

ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ ქართველი ერის ბედნიერება და წინსვლა, მისი ცხოვრების აყვავება მის ერთიანობაზე და მტკიცე შემჭიდროებაზეა დამოკიდებული. ილიას გულს უკლავდა ის შუღლი და მტრობა, რომელიც მაშინ ქართველებში იყო ფეხგადგმული. მას სურდა დაეძლია თავისი დროის სოციალურ-კლასობრივი წინააღმდეგობანი, მოესპო ქართველებს შორის მტრობა და შუღლი, შეეკავშირებინა და შეეერთებინა მთელი ქართველი ხალხი ერთ მთლიან, ძმურ ოჯახად. მართალია, ასეთი კეთილშობილი მიზნის მიღწევა მას დროს შეუძლებელი საქმე იყო, მაგრამ ილიას მხურვალე მოწოდებები ქართველების შეკავშირების აუცილებლობის, მათ შორის ერთიანობისა და ძმობის დამყარების შესახებ უკვალოდ მაინც არ დაკარგულა. ამ მოწოდებებმა ღრმა კვალი დააჩნია ქართველი ერის ფსიქოლოგიას.

ილია ჭავჭავაძის ძლიერი ხმა მთელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში ისმოდა ყველგან, სადაც კი საქართველოს ან მის რომელიმე ცალკე კუთხეს გასაჭირი ადგა. გავიხსენოთ თუნდაც მისი დაუვიწყარი გამოსვლები აჭარის განთავისუფლების დროს იქაური ქართველებისათვის დახმარების გაწევის სასარგებლოდ. „ქართველობავ, — წერდა იგი „ივერიაში", — ხელი გაუწოდე შენს ძმებსა და დებსა. რომელნიც დღემდის შენთვის დაკარგულნი იყვნენ და რომელნიც დღეს შენთანვე მოვიდნენ! შეეწიენით, რითაც შეგვიძლიან, ფულით, საჭმლით, სარჩლით, ხორაგით!.. შევეწიოთ და ვაჩვენოთ ქვეყანას, რომ კაცთმოყვარეობა ჩვენი თვისებაც არის, ვაჩვენოთ, რომ ძმათა სიყვარული ჩვენშიაც ისე ყოვლადშემძლებელია, როგორც სხვაგან. ვაჩვენოთ, რომ ჭირში ჩვენც ვიცით დახმარება. ვაჩვენოთ, რომ ძმობა, ერთურთობა, ერთმანეთის შველა და გატანა უქმი სიტყვა არ არის ქართველობისათვის!.. ქართველობავ, ჩვენი უწმინდესი ვალია, უნდა მივეშველნეთ! ღარიბნი ვართო, ვიძახოთ, მაგრამ ქვეყანაზედ მარტო ღარიბმა იცის — რა არის შველა, რა არის ძმობა გაჭირვებაში".

თუ რამდენად ძლიერია ილია ჭავჭავაძის სიყვარული ერისადმი, მისი რწმენა ხალხის შემოქმედებითი გენიისადმი, — ეს კარგად ჩანს მისი უკვდავი სიტყვებიდან, რომლებიც ცარიზმის სასტიკი რეაქციის ხანაში, სახელდობრ 1885 წელს დაიწერა:

„ერი თავისის სულით და გულით იმ ტურფა საბაღნაროსა ჰგავს, საცა რუსთაველის სიტყვით, ერთი მიდის და მის მაგიერ სხვა მოდის, თითონ ბაღნარი — კი არის და არის მუდამ მწვანე, მუდამ დაუჭკნობელი, მუდამ ყვავილოვანი, ია-ვარდ-ზამბახ-გაშლილი, როგორც ჩვენი ძველი პოეტი ბესიკი იტყოდა.

მართალია, ხან ცა მოუღრუბლებს ხოლმე და მშვიდობიანი, მორცხვი, კდემით-მოსილი ია ნაღვლიანად თავს ჩაჰკიდებს, ყელმოღერებული და თვითმწონი ზამბახი წელში გადიხრება, ეშხით ცეცხლმოდებული არშიყი ვარდი აღარ აკვნესებს თავის ბუჩქებში ტრფიალებით დამთვრალს და გახელებულს ბულბულსა, მაგრამ ბაღნარი მაინც ბაღნარია, მაინც ჰყვავის, მაინც ფშვენს, მაინც სიცოცხლის ძარღვი დაუღალავად უცემს სიცოცხლისათვისვე და ემზადება კარგის დღისათვის, სხვა უკეთეს დროსთვის. აბა ახლა მაშინ ნახეთ ერი, როცა ფირუზის ფრად გადაწმენდილი ცა, უღრუბლო და უქმოფენილი, თავის უშველებელ ფრთებს ზედ გადმოაშლის ხოლმე, როგორც ფრინველი თავის ბარტყებს; მაშინ ნახეთ ის ტურფა საბაღნარო, რომელსაც მე სული და გული ერისა დავარქვი, რა ყვავილების კონას შეჰკრავს!..

მაშ გაუმარჯოს დაუჭკნობელს სიჭაბუკესა, აწ და მარადის!"

ასე შესტრფოდა ილია ერის „ტურფა საბაღნაროს", მის ბედნიერ მომავალს. მისი გამჭრიახი გონება თითქოს შორიდან, ცარიზმის შავბნელი ეპოქიდან ხედავდა ბედნიერ მომავალს, — „ფირუზის ფრად გადაწმენდილ ცას, უღრუბლოს და უქმოფენილს".

* * *

მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ი. ჭავჭავაძის უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსა და ერისადმი სრულიადაც არ ყოფილა ყოველივე ქართულისადმი ბრმა თაყვანისცემა, ავკარგიანობის განურჩევლად. „ჩვენ ქართველში, — ამბობდა ილია, — გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცუდე კი ყველგან საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მქონი, თუ ინგლისელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორნივ წყალში გადასაყარნი იქნებიან". სწორედ იმიტომ, რომ მისი გული სამშობლოს ტრფიალებით იყო ანთებული, ილია განსაკუთრებული დაუნდობლობით ამხილებდა და აკრიტიკებდა ჩვენი ცხოვრების მანკიერ მხარეებს, ქართველი ხალხის ნაკლოვანებებს.

„ვისაც ძალიან სძულს ბოროტება, მას ძალიან ეყვარება კეთილი", — ასე ფიქრობდა ილია ჭავჭავაძე, და აქედან სავსებით გასაგები ხდება იმ ადამიანის სულისკვეთება და შინაგანი გულისდუღილი, რომლის კალამმა ცრემლნარევი სარკაზმით სავსე ლექსი „ბედნიერი ერი" დაწერა.

* * *

ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე ის არის, რომ დიდი მწერალი აქტიურად გამოდიოდა ეროვნული კარჩაკეტილობის წინააღმდეგ და დაუღალავად ქადაგებდა ერთა ურთიერთ თანამშრომლობისა და მეგობრობის იდეას. ქართველი ერის უსაზღვრო სიყვარული სრულიადაც არ უშლიდა მას ხელს უდიდესი პატივისცემით და სიყვარულით მოპყრობოდა სხვა ერებს, განსაკუთრებით დაჩაგრული ერების ინტერესებსა და მისწრაფებებს. ილიას პატრიოტიზმი თავისი შინაარსით ინტერნაციონალური ხასიათის პატრიოტიზმი იყო.

ი. ჭავჭავაძემ მშვენივრად იცოდა, რომ „ყოველ ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთა-თქმა, თავისი წადილები, თავისი სულთა-სწრაფვა, თავისი ღირსება". მან იცოდა აგრეთვე, რომ „ბუნება ადამიანისა — ქართველია თუ გარმიანელი — ავ-კარგიანობით არის სავსე და ქვეყანაზედ არ არის იმისთანა ერი, რომ მიწყული ჰქონდეს ან მარტო კარგი, ან მარტო ავი". ემყარებოდა რა ასეთ სწორ, მეცნიერულ თვალსაზრისს, ი. ჭავჭავაძე უდიდესი გულისხმიერებით ეპყრობოდა დაჩაგრული ერების მისწრაფებებს და საჭირო შემთხვევებში გაბედულადაც გამოდიოდა მათი ინტერესების დასაცავად. საკმარისია ადამიანმა გადაიკითხოს ილიას პატარა, მაგრამ ბრწყინვალედ დაწერილი წერილი „ევროპის დიდი და პატარა ონავრები", რათა თვალნათლივ დარწმუნდეს, რა მხურვალე და თანმიმდევარი დამცველია დიდი ქართველი პატრიოტი ყველა ქვეყნის დაჩაგრული ერებისა.

ი. ჭავჭავაძე არაერთხელ გამოსულა პრესაში ევროპის დიდი სახელმწიფოების მიერ დაჩაგრული ერების: იტალიელების, პოლონელების, ჩეხების, ბულგარელების, უნგრელების, ირლანდიელების, ებრაელების, ოსმალეთში მცხოვრები სომხებისა და სხვათა დასაცავად. ილიას ზოგიერთი ამგვარი წერილი ვრცელი მეცნიერული გამოკვლევაა, რომელშიც დაწვრილებით განიხილავს ევროპის ერთა ეკონომიურ და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებას და საფუძვლიანად ასაბუთებს ჩაგრულ ხალხთა ბრძოლის გამომწვევ მიზეზებს. ასეთია, მაგალითად, მისი შესანიშნავი გამოკვლევა „ირლანდია და ინგლისი", რომელშიც გამოაშკარავებულია ირლანდიის მიმართ ინგლისის ძალმომრეობის საშინელი ფაქტები და დაუფარავი სიმპათიით არის გადმოცემული ირლანდიის სახელოვან შვილთა ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

შემთხვევით როდი იყო, რომ ი. ჭავჭავაძემ სიყვარულით თარგმნა ქართულად ტომას მურის მშვენიერი ლექსი „ირლანდიისადმი", რომელიც გულში ჩამწვდომი სიტყვებით იწყება:

„არ დაგივიწყებ, არა, არა!.. ვიდრე
ჰფეთქს გული,
ვიდრე მიდგია ძარღვში სისხლი და პირში
სული!
ვიდრე სიცოცხლის ჩემის ძაფი სრულ არ
გაწყდება.
შენი, სამშობლოვ უბედურო, ხსოვნა
მექნება".

როცა დაჩაგრული ერების შესახებ ილიას ნაწერებს კითხულობ, ნათელი ხდება, რომ მათი წერის დროს ავტორს თვალწინ მუდამ საკუთარი, უფლებააყრილი და შევიწროებული სამშობლო ედგა. ილია ენერგიულად უჭერდა მხარს და უმღეროდა მსოფლიოს დაჩაგრული ერების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელსაც ის საკუთარი ერის განთავისუფლების საქმეს უკავშირებდა. ილია ოცნებობდა იმ დღეზე, როდესაც ქართველი ხალხი გადაიგდებდა კისრიდან ეროვნული და სოციალური ჩაგვრის უღელს და მოიპოვებდა სრულ თავისუფლებას. თავისი განწყობილება და გრძნობები ილიამ იშვიათი გაბედულებით და თანაც კლასიკური ფორმით ჩამოაყალიბა პატარა, ორტაეპიან ლექსში, რომელიც თავისუფლებისათვის მებრძოლი ერის საგალობელია:

„მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!
სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს
დასათრგუნველად მონობისა.
აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა
და აღმიგზნებს იმედს გულში...
ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში!".

მთელ რიგ პუბლიცისტურ წერილებში ი. ჭავჭავაძე ცდილობს გამოიკვლიოს და გააშუქოს სხვადასხვა ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შინაარსი და ფორმები იმ მიზნით, რომ გამოიყენოს სხვა ქვეყნების გამოცდილება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გასაძლიერებლად. თავისუფლებისათვის მებრძოლი ერების გმირობისა და თავდადების მაგალითებით ილია აღაფრთოვანებდა თავის თანამემამულეებს, ამაღლებდა ქართველი ხალხის ეროვნულ თვითშეგნებას, ამზადებდა და ზრდიდა ქართველ ახალგაზრდობას სამშობლოს ერთგულების სულისკვეთებით.

* * *

ილია ჭავჭავაძის დიდი პოლიტიკური და მეცნიერული ალღო, შორსმჭვრეტელობა მთელი სიცხადით გამოჩნდა მის მიერ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხის გაგებაში.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითად მიზნად ი. ჭავჭავაძეს ცარიზმისა და მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლა და ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური განთავისუფლება მიაჩნდა.

ი. ჭავჭავაძის როგორც მოაზროვნის ძლიერება სწორედ იმაშია, რომ ეროვნულ საკითხს იგი აყენებდა არა ზოგადად, დროისა და სივრცის გარეშე, არამედ ისტორიული ვითარების კონკრეტული პირობების გათვალისწინებით. ამის შესაბამისად 60-იან წლებში ის ფიქრობდა, რომ ქართველი ერისათვის ეროვნული საკითხის ყველაზე სწორი გადაწყვეტა იქნებოდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვება საყოველთაო-სახალხო აჯანყების გზით. ამიტომაც არის, რომ იმ ხანებში დაწერილ ლექსებსა და პოემებში ილია ქართველ ხალხს შეიარაღებული ბრძოლისაკენ მოუწოდებდა.

უფრო გვიან, სახელდობრ 80-იან წლებში, ი. ჭავჭავაძემ პოზიცია შეიცვალა: მან უარყო რუსეთისაგან აჯანყების გზით საქართველოს გამოყოფის აზრი და ამოცანად დაისახა ეროვნული უფლებებისათვის ბრძოლა რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებშივე. ილიას პოზიციის ასეთი შეცვლა გამოწვეული იყო მაშინდელი ისტორიული ვითარების შეცვლით. დიდი მწერლის გამჭრიახმა თვალმა შეამჩნია, რომ რეფორმისშემდგომ ხანაში სწრაფად მიდიოდა წინ რუსეთის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება, რომელიც სულ უფრო და უფრო დადებით გავლენას ახდენდა საქართველოს ცხოვრებაზე. ილიასთვის ნათელი გახდა, რომ რუსეთისაგან გამოყოფა იმ ვითარებაში ხელსაყ-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ესპანეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

პარიზი, 10 სექტემბერი. (საქდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, 7-დან 9 სექტემბრამდე მიმდინარეობდა ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმის მონაწილეებმა განიხილეს შემდეგი საკითხები:

1. პოლიტიკური მდგომარეობა ესპანეთში,
2. „ფრანკოს დიქტატურის წინააღმდეგ მშვიდობიანი დემონსტრაციის ეროვნული დღის" მოწყობა,
3. ფრანკიზმის დროს აგრარული საკითხის ხასიათის შეცვლა,
4. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის დღესასწაული.

დღის წესრიგის პირველი პუნქტის შესახებ პოლიტბიუროს სახელით მოხსენება გააკეთა ამხანაგმა დოლორეს იბარურიმ. ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც იწონებს მოხსენებას, აგრეთვე პოლიტბიუროს მოღვაწეობას უკანასკნელი პლენუმის შემდეგ.

დღის წესრიგის მეორე პუნქტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხანაგმა ვისენტე საინსმა. ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა რეზოლუცია იმის შესახებ, რომ მოეწყოს ეროვნული დღე ამნისტიისა და პოლიტიკური თავისუფლებებისათვის, ცხოვრების გაძვირებისა და ფრანკოს დიქტატურის ეკონომიური პოლიტიკის წინააღმდეგ.

დღის წესრიგის მესამე პუნქტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხანაგმა ხუან გომესმა. ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც იწონებს მოხსენებას, აგრეთვე გლეხობისადმი მიმართვა, რომელიც შეიცავს კომუნისტური პარტიის კონკრეტულ წინადადებებს.

დღის წესრიგის მეოთხე პუნქტის შესახებ მოხსენება წარადგინა ამხანაგმა ფერნანდო კლაუდინმა. ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია, სადაც მოწონებულია მოხსენება, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით მასებში მთელი იდეოლოგიური და პროპაგანდისტული მუშაობის საფუძველი უნდა გახდეს.

ბელგიის ჟურნალის სპეციალური გამოშვება საბჭოთა კავშირის შესახებ

ბრიუსელი, 10 სექტემბერი. (საქდესი). ამას წინათ ბელგიაში გამოვიდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის „სინთეზის" სპეციალური ნომერი, რომელიც მიძღვნილია სსრ კავშირისადმი.

ნომერში გამოქვეყნებულია მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორის წერილი ჟურნალ „სინთეზის" რედაქციისადმი და საბჭოთა ავტორების სტატიები საბჭოთა ეკონომიკის განვითარების, საბჭოთა საგარეო ვაჭრობის პოლიტიკისა და სსრ კავშირის მიღწევების შესახებ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების, ჯანმრთელობის დაცვისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების დარგში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ინდოეთის მუდმივი წარმომადგენლის წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი

ნიუ-იორკი, 10 სექტემბერი. (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ინდოეთის მუდმივმა წარმომადგენელმა გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გაუგზავნა წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ ინდოეთის მთავრობა ითხოვს გენერალური ასამბლეის მორიგი XII სესიის დღის წესრიგში შეიტანონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის და მისი ქვეკომიტეტის შემადგენლობის გაფართოების საკითხი.

„ინდოეთის მთავრობა, — ნათქვამია წერილში, — აპირებს გენერალური კომიტეტის შესაბამის სხდომაზე შეიტანოს წინადადება, რომ ზემოხსენებული პუნქტი შეტანილ იქნას გენერალური ასამბლეის XII სესიის წინასწარი დღის წესრიგის 24-ე პუნქტის ქვეპუნქტად".

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს განცხადება

10 სექტემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. გრომიკომ საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტების პრეს-კონფერენციაზე გააკეთა განცხადება, რომელშიც ილაპარაკა განიარაღების პრობლემაზე.

— ვერავინ ვერ უარყოფს იმ ფაქტს, — თქვა მან, — რომ შეწყვეტა გამალებული შეიარაღებისა და სახელმწიფოთა შორის ატომური და წყალბადის იარაღის წარმოებაში შეჯიბრებისა, რაც კვლავ გრძელდება, უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომელიც დიდად აღელვებს ყველა ხალხს — დიდ და პატარა ხალხებს. მათთვის სულ ერთი როდია, თუ რა პოლიტიკას ახორციელებენ განიარაღების საკითხებში მათი საკუთარი მთავრობები. გამალებული შეიარაღების მომხრენი სწორედ ამიტომ არიან იძულებული ყოველნაირად დაიძვრინონ თავი, აკეთონ განცხადებანი, რომლებიც პირდაპირ ეწინააღმდეგება მათს მოქმედებას, რათა დამალონ სიმართლე განიარაღების დარგში თავიანთი პოლიტიკის ნამდვილი ხასიათის შესახებ.

ა. გრომიკომ აღნიშნა, რომ ამ მხრივ საგულისხმოა განცხადებანი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის კ. ადენაუერისა, რომელიც თავის წინასაარჩევნო გამოსვლებში შეეხო არა მარტო გერმანიის საკითხს, არამედ განიარაღების საკითხებსაც. მიმართავს რა სხვადასხვა მონაჭორს საბჭოთა კავშირის პოზიციის შესახებ და ამახინჯებს რა ამ პოზიციას, ადენაუერი ხმების მოსაპოვებლად ცდილობს დაიცვას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობის წინაშე მილიტარიზაციის, ატომური შეიარაღებისა და ნატოს სამხედრო სამზადისში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მონაწილეობის პოლიტიკა. ადენაუერი, თუ ფაქტებს მივხედავთ, დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის ინტერესების დაცვისათვის კი არ ზრუნავს, არამედ უმთავრესად იმისათვის, რომ კიდევ უფრო ფართო გზა გაუხსნას მილიტარისტულ და რევანშისტულ წრეებს და საქვეყნოდ გამოიტანოს თავისი ერთგულება იმ უცხოელი წრეებისადმი, რომელთაც სურთ დასავლეთგერმანელი ჯარისკაცები მიიღონ როგორც საზარბაზნე ხორცი.

ა. გრომიკომ შემდეგ აღნიშნა, რომ, თუ ნატოს სამხედრო მოღვაწეთა, განსაკუთრებით ამერიკელი გენერლების გამოსვლების მიხედვით განვსჯით, ისინი უმთავრესად იმისათვის ზრუნავენ, რომ მეტი ჰყავდეთ დასავლეთგერმანელი ჯარისკაცი, რომლებმაც პირველმა უნდა მიუშვირონ მკერდი ტყვიას, თუ ახალი ომი დაიწყო.

ილაპარაკა რა ადენაუერისა და მთავრობაში მისი კოლეგების ცდებზე თავგზა აუბნიონ დასავლეთგერმანელ ამომრჩევლებს, ა. გრომიკომ მაგალითისათვის მოიყვანა ადენაუერის სტატია ჰოლანდიის ყოველკვირეულ ჟურნალ „ელსევირსში", სადაც იგი წერდა: „მხოლოდ საბჭოთა კავშირს შეუძლია მშვიდობა მოუტანოს მსოფლიოს: ამისათვის საკმარისია, რომ სსრ კავშირი დათანხმდეს ატომურ განიარაღებაზე იმ ფორმით, როგორითაც ამას დასავლეთის სახელმწიფოები მოითხოვენ".

„ატომური განიარაღება" იმ ფორმით, რომელსაც დასავლეთის სახელმწიფოები მოითხოვენ და რომელსაც ადენაუერი ქება-დიდებას ასხამს, თქვა ა. გრომიკომ, ნამდვილად იმას ნიშნავს, რომ გაგრძელდეს გამალებული შეიარაღება და უწინარეს ყოვლისა სწორედ ატომური და წყალბადის იარაღის დარგში, რადგან მათ, ვინც ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავს, ასეთი იარაღის აკრძალვის გაგონებაც არა სურთ. უფრო მეტიც, მათ ამ იარაღის გამოცდის შეწყვეტის წინადადებაც კი კანკალს აწყებინებს.

შეეხო რა ადენაუერის განცხადებას წინასაარჩევნო კრებაზე ბრემერჰაფენში, რომ თითქოს ამერიკის შეერთებულ შტატებში უკანასკნელი მოგზაურობის დროს პრეზიდენტი ეიზენჰაუერი შეჰპირდა მას ოთხი სახელმწიფოს კონფერენციის მოწვევას გერმანიის გაერთიანების საკითხზე, თუ განიარაღების შე-

საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტების პრეს-კონფერენციაზე

სახებ ლონდონის მოლაპარაკების შედეგად შენელდა საერთაშორისო დაძაბულობა, ა. გრომიკომ თქვა, რომ პრეზიდენტი ეიზენჰაუერი ან სხვა ვინმე ვერ გადაწყვეტს ოთხი სახელმწიფოს ე. ი. სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის თათბირის მოწვევის საკითხს, თუ ამის შესახებ არ იკითხავს განზრახული თათბირის სხვა მონაწილეთა აზრს.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირმა უაღრესად ნათლად განაცხადა, რომ არ აპირებს მიიღოს მონაწილეობა ოთხი სახელმწიფოს რაიმე თათბირში გერმანიის საკითხზე, ისევე როგორც რაიმე თათბირსა ან შეხვედრაში, რომელზეც შეიძლება გამოიტანონ გერმანიის საკითხი, რადგან ისეთ პირობებში, როგორიც ამჟამად შეიქმნა გერმანიაში, ეს საკითხი შეიძლება გადაჭრან მხოლოდ თვითონ გერმანელებმა, იგი შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ ორ გერმანულ სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის მოლაპარაკების გზით.

ა. გრომიკომ შემდეგ აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ცოტა ღონისძიებანი როდი მოახმარა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების ქვეკომიტეტში მოლაპარაკების გაჭიანურებას. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ატლანტიკის ბლოკში თავიანთი პარტნიორების მხარდაჭერით დღის სინათლეზე გამოიტანეს მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც განიარაღების ვერც ერთი საკითხი ვერ გადაიჭრება, თუ არ მოწესრიგდა სადავო საერთაშორისო პოლიტიკური პრობლემები.

ამერიკის შეერთებული შტატები ამ პრობლემებს მიაკუთვნებენ აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას, უკავშირებენ რა განიარაღების შესახებ შეთანხმების მიღწევას ამ პრობლემასაც. მაგრამ ამ რაიონში ახლანდელი დაძაბულობის ერთადერთი მიზეზი, აღნიშნა ა. გრომიკომ, არის ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის განუწყვეტელი უხეში ჩარევა არაბთა ქვეყნების საქმეებში, ცდები ძალით მოახვიონ თავს არაბ ხალხებს თავიანთი ნება და ჩაახშონ ამ ხალხთა მისწრაფება დამოუკიდებელი თავისუფალი ცხოვრებისადმი. ამასთან, როგორც ცნობილია, დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობები უარყოფენ სსრ კავშირის წინადადებას — შეთანხმდნენ იმაზე, რომ დიდმა სახელმწიფოებმა უარი თქვან ახლო და შუა აღმოსავლეთის პრობლემათა გადაჭრისას ძალის გამოყენებაზე და ამ რაიონის ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევაზე.

ასეთსავე მდგომარეობაშია ბევრი სხვა მოუწესრიგებელი საერთაშორისო პრობლემა, რომლებსაც დასავლეთის სახელმწიფოები იყენებენ იმის საბაბად, რომ უარი თქვან განიარაღების შესახებ შეთანხმებაზე და რომელთა გადაჭრა იფუშება თვით დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციის გამო.

ა. გრომიკომ განაცხადა, რომ განიარაღების ამა თუ იმ საკითხზე შეთანხმების დაკავშირება გადაუჭრელ საერთაშორისო პოლიტიკურ პრობლემებთან იმას ნიშნავს, რომ წინასწარ დასამარდეს შეთანხმება. თუ ასეთი მეთოდი გამოვიყენეთ, შეუძლებელია შეთანხმება საერთაშორისო ურთიერთობის რომელიმე საკითხზე. შესაძლოა ეს ხელსაყრელი იყოს „ცივი ომისა" და გამალებული შეიარაღების ტრუბადურებისათვის, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების მსხვილი მონოპოლიებისათვის, რომლებიც მრავალ მილიარდ მოგებას იღებენ შეიარაღების წარმოებით, მაგრამ ყოველივე ეს უცხოა ხალხების ინტერესებისათვის, მშვიდობის ინტერესებისათვის.

განიარაღების პრობლემა, განაგრძო მან, მკვდარი წერტილიდან არ დაიძვრის, სანამ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სათანადო ენერგიით და იმის შეგნებით არ მოჰკიდებს ხელს განიარაღების საქმეს, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა აკისრია მას მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის. განიარაღების საკითხები, რამდენადაც მათი გადაჭრით სასიცოცხლოდ დაინტერესებულია ყველა ხალხი, ფარულად, კარდაზმულ დარბაზში როდი უნდა განიხილონ.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი კვლავაც არ დაზოგავს ძალებს, რათა ხელი შეუწყოს პრაქტიკული შედეგების მიღწევას განიარაღებაში.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ როგორც პირველი რიგის ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს შემდეგი:

1. შეწყდეს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა. ასეთი ღონისძიება რთული საქმე არ არის და შეიძლება განხორციელდეს შემდგომ გაუჭიანურებლად და რაიმე წინასწარი პირობის დაუდებლად, საკმარისია მხოლოდ, რომ დასავლეთის სახელმწიფოების — ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობები, რომლებიც ატომურ იარაღს აწარმოებენ, დათანხმდნენ ამაზე. ყველაფერი მათზეა დამოკიდებული.

2. გაიყვანონ უცხოეთის ჯარები გერმანიიდან, აგრეთვე ევროპის სხვა ქვეყნებიდან, რომელთა ტერიტორიებზე ჯერ კიდევ არიან უცხოეთის შეიარაღებული ძალები. საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ ასეთი ღონისძიების განხორციელება გადაჭრით გააჯანსაღებს ევროპის ვითარებას და ხელს შეუწყობს სახელმწიფოთა შორის კარგი, მშვიდობიანი ურთიერთობის შექმნას.

3. მოისპოს უცხოეთის ყველა სამხედრო ბაზა სხვის ტერიტორიაზე. ამ ღონისძიების დაუყოვნებლივ განხორციელება იმ დაძაბულობის აღმოფხვრის უმნიშვნელოვანესი პირობაა, რომელიც ახლა საერთაშორისო ურთიერთობაში არის. სხვის ტერიტორიებზე ყველა სამხედრო ბაზის ლიკვიდაცია ხელს შეუწყობს სახელმწიფოთა შორის შიშისა და ეჭვის გრძნობის აღმოფხვრას და იმას, რომ სახელმწიფოთა ურთიერთობას საფუძვლად დაედოს ნდობა და მშვიდობიანი თანამშრომლობა.

4. უეცარი თავდასხმის თავიდან აცილებისა და კონტროლის ღონისძიებად საბჭოთა მთავრობა მოითხოვს განიარაღების დარგში თავდაპირველი ნაბიჯების შესახებ შეთანხმებასთან ერთად, რაზეც დაწვრილებით არის ნათქვამი საბჭოთა მთავრობის 27 აგვისტოს განცხადებაში, მოხდეს შეთანხმება იმის შესახებ, რომ ურთიერთ საწყისებზე დაწესდეს საკონტროლო საგუშაგოები დიდ ნავსადგურებში, რკინიგზის კვანძებში და ავტომაგისტრალებზე. ამ საგუშაგოებმა თვალყური უნდა ადევნონ იმას, რომ არ მოხდეს შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების საშიში კონცენტრაცია. ასეთი საგუშაგოების დაწესების მიზანია იმის თავიდან აცილება, რომ ერთი სახელმწიფო უეცრად დაესხას თავს მეორე სახელმწიფოს.

საბჭოთა მთავრობა აგრეთვე მოითხოვს შეთანხმდნენ, რომ ურთიერთსაწყისებზე დაწესდეს საკონტროლო საგუშაგოები სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის ტერიტორიაზე და წყნარი ოკეანის რაიონში იმის თვალყურის სადევნებლად, რომ სახელმწიფოებმა შეასრულონ ვალდებულებანი ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ, რის განხორციელებაც სავსებით შესაძლებელია ამჟამადაც.

აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება დიდი ნაბიჯი იქნება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და ახალი ომის წარმოშობის საფრთხის შემცირების საქმეში, რაც ჰაერივით ესაჭიროება ყველა ხალხს.

ჩრდილოეთის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი

ოსლო. 10 სექტემბერი. (საქდესი). გუშინ ოსლოში გაიხსნა ჩრდილოეთის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი. როგორც პრესა იუწყება, თათბირი განიხილავს საკითხებს, რომლებიც დასმულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-12 სესიის დღის წესრიგში.

თბომავალი „როსია" სოხუმის ნავსადგურთან.

ფოტო ნ. ჯომიდავასი.

ახალი რესტორანი სოხუმში

სოხუმი. (საქ. კორ). ყოველდღიურად მშვენიერდება და ლამაზდება ქალაქი-ბაღი სოხუმი. სისტემატურად მწყობრში დგებიან ახალი შენობები და ნაგებობანი, რომლებიც ქალაქს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდიან.

ამას წინათ სასტუმრო „აფხაზეთის" პირველ და მეხუთე სართულზე გაიხსნა პირველი კლასის სანიმუშო რესტორანი, რომელიც ერთდროულად ხუთასამდე კაცს ემსახურება.

რესტორანში გიტაცებთ მაღალი გემოვნებით, ქართული არქიტექტურული მოტივებით შესრულებული ჩუქურთმები. რეკონსტრუქციის და გაფორმების პროექტი ეკუთვნის არქიტექტორ ლ. მუშკუდიანს.

ვესტიბიულის გავლით კლიენტი შედის ფართო დერეფანში, სადაც მოწყობილია სოხუმში პირველი ლიფტი, რომელიც პირველ სართულს აკავშირებს მეხუთე სართულის საზაფხულო რესტორანთან. არის მეორე ლიფტიც, რომლითაც სამზარეულოდან ადიან მეხუთე სართულში. ძირითადი დარბაზების გარდა რესტორანს აქვს სამი საბანკეტო დარბაზი — ორი პირველ სართულზე და ერთი — მეხუთეზე.

რესტორანი კულინარული ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით არის მოწყობილი. თითქმის ყველა შრომატევადი პროცესი მექანიზებულია. სურსათ-სანოვაგის შესანახად საკმაო რაოდენობით აქვთ საწყობები და მაცივრები.

სასოფლო კლუბის დრამატული წრე

თერჯოლა. (საქ. კორ.). ნაყოფიერად მუშაობს ზედა საზანოს სასოფლო კლუბთან არსებული დრამატული წრე (ხელმძღვანელი რ. კაჭკაჭიშვილი), რომელიც 14 სცენისმოყვარეს აერთიანებს.

დრამატულმა წრემ კარგად განახორციელა „კაკო ყაჩაღის" დადგმა ი. ჭავჭავაძის პოემის მიხედვით, აგრეთვე მ. გოგიაშვილის სკეტჩები „დიაბეტის დანაშაული", „მოულოდნელი ფინალი", „სასწრაფო დახმარება", „სტუმარ-მასპინძლობა" და სხვ.

მარტო აგვისტო-სექტემბერში დრამატულმა წრემ თავისი დადგმები უჩვენა ძევრელ, სიქთარველ, ღვანკითელ, რუფოთელ და ქვედა-ალისუბნელ კოლმეურნეებს.

მუშათა საცხოვრებელი სახლი

ხაშური. (საქ. კორ.). აგურის ქარხნის ტერიტორიაზე დამთავრდა ახალი ორსართულიანი კაპიტალური შენობის აგება და კეთილმოწყობა. შიგ უკვე შესახლდნენ ქარხნის მოწინავე მუშები. ეს მეორე საცხოვრებელი სახლია მეაგურეებისათვის.

სპორტის ამბები

საბჭოთა სპორტსმენები საერთაშორისო სარბიელზე

სექტემბრის მეორე ნახევარში ჩვენი ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ მთელ რიგ საერთაშორისო შეხვედრებში სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

საბჭოთა კავშირის მოფარიკავეთა ნაკრები გუნდი გაემგზავრება პარიზში, სადაც მოეწყობა მსოფლიო პირველობა ფარიკაობაში. ლაიპციგში მოეწყობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის უძლიერეს მცურავთა მატჩი. ჩვენი ქვეყნის მძლეოსნები მონაწილეობას მიიღებენ რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში გამართულ ამავე ქვეყნის მძლეოსანთა ჩემპიონატში.

საერთაშორისო შეხვედრები ექნებათ ფეხბურთელებსაც: მოსკოვის „სპარტაკი" გაემგზავრება თურქეთში, ლენინგრადის „შრომითი რეზერვები" — ფინეთში, ხოლო თბილისის „დინამო" — ავსტრიაში.

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა" კლასი

ლენინგრადი. 10 სექტემბერი. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე გაიმართა მორიგი შეხვედრა ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის 1957 წლის პირველობაზე ლენინგრადის „ზენიტსა" და სტალინოს „შახტიორს" შორის.

შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

• • •

მოსკოვი. 11 სექტემბერი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „სპარტაკი" და კიშინიოვის „ბურევესტნიკი".

მატჩის შედეგია ფრე — 4:4.

სსრ კავშირის თასზე

მოსკოვი. 10 სექტემბერი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ლუჟნიკში გაიმართა საბჭოთა კავშირის 1957 წლის თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური შეხვედრა. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „ლოკომოტივისა" და თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის ფეხბურთელთა გუნდები. შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც ლოკომოტიველებმა პირველ ტაიმში გაიტანეს.

ამრიგად, რკინიგზელები გავიდნენ თასის გათამაშების ფინალში. ისინი შეხვდებიან მოსკოვის „სპარტაკისა" და „ტორპედოს" გუნდებს შორის გამარჯვებულს.

პროფკავშირელი მძლეოსნების ასპარეზობა

დამთავრდა საქართველოს პროფსაბჭოს 1957 წლის პირველობა მძლეოსნობაში, რომელშიც მონაწილეობდა ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა 20-მდე ნაკრები გუნდი.

მძლეოსნობის სხვადასხვა სახეობაში საქართველოს პროფსაბჭოს 1957 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს შემდეგმა სპორტსმენებმა: მ. გეგეშიძემ (რუსთავის მეტალურგიული ქარხანა), ლ. ნიკოლოსომ (ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო), ვ. ანჯაფარიძემ (ენგურის ქაღალდ-ცელულოზის კომბინატი), ი. სანეევმა (თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა), გ. აფონინამ (სოხუმის საორთქლმავლო დეპო), მ. უჩანეიშვილმა (სოხუმის პურის ქარხანა), გ. კობიაშვილმა და ფ. სტრახერმა (ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო), უ. სტურუამ (რუსთავის მეტალურგიული ქარხანა) და სხვებმა.

მახარაძელთა გამარჯვება

მახარაძეში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" პირველობა ფეხბურთში.

ფინალური შეხვედრები ძლიერად ჩაატარეს მახარაძისა და ლანჩხუთის გუნდებმა, რომელთაც მოაგროვეს ქულათა თანაბარი რაოდენობა (5-5 ქულა 6 შესაძლებელიდან). გამარჯვებულის გამოსავლენად დაინიშნა დამატებითი მატჩი აღნიშნულ გუნდებს შორის. გადამწყვეტი ასპარეზობა მოიგეს მახარაძელებმა ანგარიშით 3:1.

ამრიგად, სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" 1957 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს მახარაძის კოლმეურნე ფეხბურთელებმა.

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.

ქართველი ერის დიდი მომამგე

(დასასრული)

რელი არ იქნებოდა საქართველოსათვის, არ იქნებოდა პროგრესული ნაბიჯი. ამიტომაც იყო, რომ მან თავისი სამშობლოს ბედი საბოლოოდ დაუკავშირა დიდი რუსეთის ბედს და უკეთესი მომავლის იმედები რუსეთის პროგრესულ ძალებზე დაამყარა.

თავის ბრძოლაში საქართველოს ეროვნული უფლებების მოსაპოვებლად ი. ჭავჭავაძე ეყრდნობოდა არა მარტო ქართველი ხალხის მოწინავე ძალებს, არამედ აგრეთვე რუსეთის პროგრესულ ადამიანებს, რომლებიც მუდამ აღიარებდნენ და მხარს უჭერდნენ რუსეთის იმპერიაში შემავალ ერთა დამოუკიდებლობისა და ეროვნული თავისუფლების იდეას. ი. ჭავჭავაძის ერთ-ერთი დიდი ისტორიული დამსახურება ის არის, რომ ის ნათლად ხედავდა ორ რუსეთს: მეფისა და მემამულეების რუსეთს და ჩერნიშევსკისა და პუშკინის რუსეთს. ულმობლად ებრძოდა რა ცარიზმს და რეაქციას, ილია ამავე დროს უდიდესი პატივისცემით და სიყვარულით ეპყრობოდა რუსი ხალხის სახელოვან მწერლებსა და მოაზროვნეებს: პუშკინს, ლერმონტოვს, გოგოლს, ტოლსტოის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვს და სხვებს.

ი. ჭავჭავაძე მუდამ ხაზგასმით აღნიშნავდა რუსული ენისა და რუსული კულტურის უდიდეს მნიშვნელობას ქართველი ხალხისათვის. მაგრამ მას მიაჩნდა, რომ რუსული ენის შესწავლას, ისევე როგორც ყოველგვარი ცოდნისა და გამოცდილების გადმოღებას სხვა ერებისაგან საფუძვლად ქართული ენისა და კულტურის ცოდნა უნდა დასდებოდა.

„ჩვენ იმ აზრისანი ვართ, — ამბობდა იგი, — რომ რუსულის მწერლობის შესწავლა და ცოდნა ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა, რომ რუსეთის ცხოვრება იმდენად საინტერესოა და განსაკუთრებულის ხასიათისაა. რომ ორივსავე შესწავლა ჩვენთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს. მართლაც, რუსეთი ყოვლის მხრით იმდენად შესანიშნავია, რომ დაწინაურებული ევროპა, საიდგანაც რუსეთმა გადმონერგა საკუთარს ნიადაგზე სწავლა-მეცნიერება და საიდგანაც დღესაც ეზიდება წყალსა და ჯავარსა განათლებისას, ჰკვირობს რუსულის მწერლობის სიმდიდრეს და თავისებურებას. ჩვენც, რასაკვირველია, ზედმიწევნით უნდა გავიცნოთ რუსული მწერლობა და აგრეთვე უნდა ვცდილობდეთ სხვა უცხო მწერლობაც შევისწავლოთ. ჩვენთვის ეს იმდენად აშკარა და ჭეშმარიტია, რომ მეტი ლაპარაკი საჭირო არ არის... ხოლო ჩვენი აზრი ის არის, რომ ყოველს სწავლასა და ცოდნას საძირკვლად საკუთარის მწერლობისა და ვითარების ცოდნა უნდა დაედოს... მაგალითად, თუ დიდმა და პატარამ ქართული ენა საკმარისად არ ვიცით, ცხადია, რომ ამ ენის შესწავლა ჩვენთვის აუცილებელი და უმთავრესი საგანია; თუ ეს ენა კარგად შევითვისეთ, მაშინ აშკარაა, უცხო ენასაცა და მწერლობასაც უკეთ შევისწავლით... ჩვენ იმ აზრისანი ვართ, რომ... საკუთარის ვითარების შესწავლა გავიხადოთ ქვაკუთხედად ყოველისავე ცოდნისა".

ი. ჭავჭავაძე ულმობლად ებრძოდა და სასტიკად ამათრახებდა როგორც რეაქციონერ რუს და ქართველ მოხელეებს, რომლებიც ქადაგებდნენ, დიდმა ერებმა პატარა ერები უნდა ჩაყლაპონო, ისე მოლიბერალო ქართველ მოღვაწეებს, რომლებიც თუმცა სიტყვით სამშობლოს ერთგულებას აღიარებდნენ, მაგრამ საქმით მტრის საქმეს აკეთებდნენ და თვითონაც გადაგვარების გზაზე იდგნენ. ი. ჭავჭავაძე იმ აზრისა იყო, რომ რუსეთის სიყვარული ქართველ ხალხში მხოლოდ საქართველოს სიყვარულზე შეიძლება აშენდესო. მისი აზრით, „ვისაც გული ხცრუებული აქვს თავის ვინაობაზედ, თავისიანობაზედ; ვისაც თავისი უარ-უყვია, გულიდამ ამოუღია, დავიწყებას მიუცია, ის სხვისას ვერ შეითვისებს, ის სხვისას ვერ უერთგულებს".

ემყარებოდა რა ასეთ თვალსაზრისს, დიდი მწერალი არაჩვეულებრივი ენერგიით, შეუპოვრობითა და თანმიმდევრობით ქადაგებდა სავსებით სწორ, მოწინავე და ამავე დროს უაღრესად პატრიოტულ თვალსაზრისს, რომელიც ჩამოყალიბებულია მის ღრმააზროვან სიტყვებში: „სიყვარული ჩვენი სამშობლოსი თავით თვისით წარმოადგენს იმ ნაყოფიერ ნიადაგს, რაზედაც იზრდება და ხარობს ჩვენი ერთგულება და სიყვარული რუსეთისა.. სიყვარული ჩვენი სამშობლოსი იგი მაგარი და შეუმდგომელი ჯაჭვია, რომელიც აერთიანებს ჩვენს ზრახვასა და სასოებას უკეთეს რუსთა ზრახვასა და სასოებასთან".

• • •

ილია ჭავჭავაძის პატრიოტიზმის ერთ-ერთი უმთავრესი და დიდმნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ მისი სიყვარულის, ზრუნვისა და განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო უპირველეს ყოვლისა მშრომელი ხალხი, ანუ, როგორც ის ამბობდა, „უბრალო გლეხობა — ეს უმრავლესობა ქართველობისა, ეს სული და გული ჩვენის ეროვნულის იმედებისა".

ქართველ გლეხს, მის გუთანს, მის შრომასა და ბრძოლას, მისი ცხოვრების უკეთ მოწყობის პრობლემებს მიუძღვნა ი. ჭავჭავაძემ თავისი საუკეთესო მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოებები. ილიას აზრით, თავისუფალი გლეხის შრომა იყო ის უმთავრესი ეკონომიური საფუძველი, რომელზეც უნდა აშენებულიყო ქართველი ერის კეთილდღეობა. ამიტომაც იყო, რომ დიდი მწერალი თავს ევლებოდა გლეხობას, იცავდა მას ძალმომრეობისაგან, იბრძოდა გლეხობის განათლებისა და შეგნების ამაღლებისათვის. ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ილიას მთელი სიმპათიები კაკოს, ზაქროს, გაბროს, პეპიას, ოთარაანთ ქვრივის, გიორგის და მშრომელი გლეხობის წრიდან გამოსული სხვა შესანიშნავი გმირების მხარეზეა.

ამავე დროს ილია ულმობლად ებრძვის მუქთახორა თავადაზნაურებს, რომლებსაც „გულზედ ფაფუკი ხელები დაუკრეფნიათ, პირი დაუღიათ და ჰყვირიან, მასვით და მაჭამეთო". ილიამ ისტორიის სამარცხვინო ბოძზე გააკრა ლუარსაბ თათქარიძის წოდება. დიდი მწერალი ამით არ დაკმაყოფილდა, მისი მახვილი კალამი ახლად ფეხაფმული ბურჟუაზიის წარმომადგენლებსაც მისწვდა და მკაცრად გააკრიტიკა ეს „ჩვენი ქვეყნის წურბელები", რომლებიც მარტო პირად გამდიდრებაზე ზრუნავდნენ, ხოლო ერის ინტერესები ოდნავაც არ აწუხებდათ.

მართალია, საქართველოს მაშინდელი ცხოვრების თავისებურებათა გამო, კერძოდ იმის გამო, რომ საქართველო ეკონომიურად ჩამორჩენილი, ხოლო პოლიტიკურად დაჩაგრული კოლონიური ქვეყანა იყო, ი. ჭავჭავაძემ ვერ შეძლო ან, უკეთ რომ ვთქვათ, მას არ შეეძლო ამაღლებულიყო ისტორიის მატერიალისტურ, მარქსისტულ გაგებამდე, არ შეეძლო გაეგო მუშათა კლასის ისტორიული როლი და, მაშასადამე, ეპოვნა ნამდვილი გზა ქართველი ხალხის ბედნიერებისაკენ, მაგრამ ისიც უდავოა, რომ თავისი დიდი მეცნიერული ალღოს წყალობით ილია მჭიდროდ მიუახლოვდა მარქსიზმს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი საკითხების გაგებაში.

ილია ჭავჭავაძემ მშვენივრად იცოდა, რომ მისი დროის საზოგადოება როგორც საქართველოში, ისე რუსეთსა და ევროპაშიც, დაყოფილი იყო კლასებად და, მათ შორის დაუნდობელი ბრძოლა იყო გაჩაღებული. თვითონ ილია ჩაბმული იყო ამ ბრძოლაში და სიტყვით თუ საქმით აქტიურად ეხმარებოდა მშრომელ ხალხს — მუშებსა და გლეხებს.

როდესაც საქართველოში მოვიდა ცნობა პარიზის კომუნარების უმაგალითო გმირობის შესახებ, ილიამ დაწერა უკვდავი ლექსი, რომელშიც უმღერა პარიზის სახელოვან კომუნას, კომუნის დროშას მან „ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი დიდი დროშა" უწოდა, კომუნარების მიერ დაღვრილ სისხლს — „წმიდა სისხლი", ხოლო კომუნის ჯალათებს გაბედულად დაარქვა „მტარვალნი". როგორც სამართლიანად აღნიშნავს რუსი მწერალი ვ. გოლცევი, არა მარტო ქართულ, არამედ რუსულ პოეზიაშიც არ მოიპოვება სხვა ლექსი, რომელშიც ასე ძლიერად და ცხადად იყოს შექებული პარიზის კომუნის მებრძოლთა გმირობა.

მეოცე საუკუნის მიჯნაზე, — იმ დროს, როდესაც საქართველოს მუშები და გლეხები დაირაზმნენ ექსპლოატატორთა წინააღმდეგ საბრძოლველად, როდესაც 1905 წლის რევოლუციური ქექა-ქუხილი ახლოვდებოდა, ი. ჭავჭავაძე წერდა:

„დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალს საუკუნეს".

მადლიერი ქართველი ერი არასოდეს არ დაივიწყებს და მუდამ სიყვარულით მოიგონებს თავისი სახელოვანი შვილების ხსოვნას, რომელთა შორის უკვნობი შარავანდედით ბრწყინავს ჩვენი დიდი მომაგის, ბრძენი ილიას ნათელი სახე.

ტელეგადაცემათა პროგრამა

12 სექტემბრისათვის

20.00 — კინონარკვევი „სიჭაბუკის ზეიმი". 20.25 — კინოჟურნალი „საბჭოთა საქართველო" № 25. 20.35 — ახალი მხატვრული ფილმი „დონ-კიხოტი".

საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის აპარატის თანამშრომლები იუწყებიან
ვალერიან ისიდორეს-ძე ქუთათელაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-IX ქ. ქუთაისში. გამოსვენება ბინიდან, სტალინის ქ. № 41.

მეუღლე ოლია, შვილები ეთერ, ლიანა, მურმან, თეონა, გენადი, და იუსტინე, ძმა ლეო, რძალი გულნარა ოჯახებით იუწყებიან
თეოფანე ესტატეს-ძე ქირიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-IX სოფ. ხამისკურში (ხობის რ.).

შვილები მარიამ, ელენე, ელპიდა, ნინო, რძალი აგრაფინა ოჯახებით იუწყებიან
სადა ანტონის ასულ ქარცივაძე-ბოლქვაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-IX სოფ. შრომაში (მახარაძის რ.).

მეუღლე თამარ, შვილები ლენა, მიხეილ, სიძე გ. გურგენიძე იუწყებიან
ალექსანდრე პავლეს-ძე ჯაიანის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14-IX 8 ს. გამოსვენება 15-IX, 5 ს. უფლისციხის ქ. № 14.

თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის კოლექტივი იუწყება ამავე ქარხნის თანამშრომლის
არმენაკ ბარსეგის-ძე არმენაკიანის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-IX, 4 ს. 30 წ. საზოგადოების ქ. № 6.

მოქალაქე **ელენე ალექსანდრეს ასულმა წამალაშვილმა,** მცხოვრებმა წყალტუბოს ქ. № 39, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ზაქრო ბესარიონის-ძე წამალაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის სახალხო სასამართლო.

მეუღლე მიხეილ, შვილი იური, დედა ნინო, ძმა ვასილ, რძალი ელიკო, დები თამარ, ანეტა, გოგუცა, ელენე, სიძეები ზ. ქართველიშვილი, ს. ამერიძე ოჯახებით იუწყებიან
ქსენია დიმიტრის ასულ ლომაძე-ქუონიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-IX, სოფ. ჩიბათში (ლანჩხუთის რ.).

მეუღლე ნინო, შვილები ამირან, ლენა, ძმა ისიდორე, რძალი მარო, სიძე ტ. გეგუჩაძე; ლეილა, კაკო, შოთა ღვინერიეები, ნუნუ, შოთა გვარამაძეები იუწყებიან
დავით დიანოზის-ძე ღვინერიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-IX სოფ. ლანირში (სამტრედიის რ.).

შვილები ლენა, რევაზ, მიშა, დები ბაბილინა, ოლია, ძმები ირაკლი, ვანო, რძლები კლარა, ფაცია, საშა, ნინა, სიძე გ. შავლაძე ოჯახებით იუწყებიან
სონია ივანეს ასულ გალდავაძე-გორდაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-IX დიდ კუხში (წულუკიძის რ.).

მეუღლე დომნა, შვილები მიხეილ, ციალა, დები ნინა, თამარ, ქენია, ქეთო, რძალი კაკალა, სიძე გ. ხვედელიძე ოჯახებით იუწყებიან
პავლე ალექსანდრეს-ძე კაზიაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13-IX 8 ს. გამოსვენება 14-IX, 5 ს. გოგოლის ქ. № 26.

მეუღლე ლადიკო, შვილი ნინო, სიძე დ. აბაშიძე ოჯახით იუწყებიან
კალმანე ნიკოლოზის ასულ ქავჟარაძე-კალანდაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-IX, ქ. მახარაძეში, ლენინგრადის ქ. № 36.

უე 03627 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.